577 № 9249

[illegible stamp]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 4 ივლისი
№ 27 (2204)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

## ყრილობის შუქზე




[illegible] ...რილში წერდა:

„ახლა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი, ეგებებიან საბჭოთა ხალხის ნაცადი ავანგარდის, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ლენინური პარტიის XXVI ყრილობას. ისინი ემზადებიან მშობლიური პარტიის ყრილობას შეხვდნენ ახალი შრომითი წარმატებებით. დამკვრელური შრომით, სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებით, მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია გამოხატავენ კომუნიზმის საქმისადმი თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას, ლენინის პარტიასთან მტკიცე, ურღვევ ერთიანობას".

მომავალი ყრილობისათვის მზადების საყოველთაო-სახალხო პათოსს თავის ხმას უერთებს მწერლობა, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკი. ოცდამეხუთე ყრილობამ ხომ სხვა მრავალ საკითხებთან ერთად სოციალისტური კულტურის მნიშვნელოვან პრობლემებზეც იმსჯელა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების განუზომელ როლს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში. ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან, ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში ითქვა, რომ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები სულ უფრო ხშირად და, რაც მთავარია, უფრო ღრმად ეხმაურებიან იმ ძირითადს, არსებითს, რითაც ქვეყანა ცხოვრობს, რაც საბჭოთა ადამიანების პირადი ბედის ნაწილი გახდა; რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეში გაიზარდა მომთხოვნელობა ერთმანეთისა და საკუთარი შემოქმედებისადმი; რომ კრიტიკა პირუთვნელად აფასებს უფერულ, უნიჭო, მით უმეტეს იდეური ხარვეზების მქონე ნაწარმოებებს; რომ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი პარტიული მიდგომა ერთმანეთთან ახამებს შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი სათუთ დამოკიდებულებას, მის დახმარებას შემოქმედებითს ძიებაში და პრინციპულობას.

არ შეიძლება საბჭოთა ხელოვანს სიამაყეს არ ჰგვრიდეს სიტყვები, რომელიც ყრილობის მთელი შემდგომი ლიტერატურულ-მხატვრული პოლიტიკის განმსაზღვრელი გახდა: „ნამდვილი ნიჭი იშვიათად გვხვდება. ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა".

ყრილობის შემდგომმა წლებმა კვლავ სავსებით დაადასტურა ჭეშმარიტება და ცხოველმყოფელობა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული მიდგომისა. შეიქმნა ჩვენი ისტორიის, ჩვენი აწმყოსი და მომავლის, ჩვენი პარტიისა და ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერი ახალი ნაწარმოებები.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი გმირი კვლავ იყო ახლის მშენებელი, ახლის დამამკვიდრებელი, ჭეშმარიტი კომუნისტური ზნეობის განმასახიერებელი ადამიანი, რომლისთვისაც მთავარია ქვეყნისა და ხალხის ინტერესები, რომელიც მზადაა შეუპოვრად და უკომპრომისოდ ებრძოლოს ძველსა და დრომოჭმულს, იყოს თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული იდეალების გამტარებელი, ნიმუში ადამიანური უბრალოებისა, კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობისა.

ამაღლდა ჩვენი ლიტერატურის კრიტიკული პათოსი. ეს ახლის დამკვიდრების პათოსია. ებრძვის რა დრომოჭმულსა და ჩამორჩენილს, ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება განამტკიცებს სოციალისტური სინამდვილის საფუძვლებს. მისი კრიტიკული მახვილი მიმართულია გულგრილობის, ინერტულობის, სოციალისტური სინამდვილისათვის შეუფერებელი ანტიპოდური მოვლენების წინაალმდეგ, ბურჟუაზიული მორალისა და ზნეობის წინაალმდეგ.

ამაღლდა მხატვრული მომთხოვნელობა, სულ უფრო წინა პლანზე გამოვიდა მტკიცე ჰარმონიული კავშირი მაღალი იდეურობისა და მაღალი მხატვრული ფორმისა. ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში სულ უფრო ხშირად იქმნება ნაწარმოებები, სადაც იგრძნობა მწერლის მაძიებლობა, ნოვატორობა ფორმისა და შინაარსის სფეროში, ჟანრობრივი და სტილური მრავალფეროვნება. პარტიამ ხომ თავის ყრილობაზე პირდაპირ თქვა მხატვრული ნოვატორობის თაობაზე, მოითხოვა ფორმების მრავალფეროვნებისა და სტილის ინდივიდუალობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ღრმა და სათუთი მიდგომა.

ქართული მწერლობა, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად, სიხარულით შეხვდა პარტიის მომავალი ყრილობისთვის საყოველთაო-სახალხო მზადებას. საქართველოს მწერალთა კავშირმა უკვე შეიმუშავა საყრილობო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მრავალფეროვან და მრავალმხრივ საქმიანობას ითვალისწინებს. ქართული მწერლობის ვალია თავის ახალ ნაწარმოებებში ღრმად და ნათლად გამოხატოს ის პათოსი, ის შრომითი გმირობა და შემართება, რაც ჩვენი წინასაყრილობო ცხოვრების მთავარი ნიშანი იქნება. ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები თავის ფურცლებზე გამოიყვანენ თანამედროვეობის წამყვან გმირებს, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, მკაფიოდ და დამაჯერებლად გააშუქებენ ჩვენს წარმატებებს, ხალხის შრომისა და ბრძოლის სიდიადეს.

### ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იწყებს ნაწარმოებთა მიღებას ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად 1981 წელს. ნამუშევართა მიღება იწარმოებს 1980 წლის 1 ნოემბრამდე.

კომიტეტი შეახსენებს ორგანიზაციებს, რომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევართა წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა მოეწყოს კანდიდატურათა ფართო და ყოველმხრივი საზოგადოებრივი განხილვა.

ნაწარმოებთა პრემიაზე წამოყენებასა და მასალების გაფორმებასთან დაკავშირებით მიმართეთ კომიტეტს მისამართით: 380018, თბილისი, რუსთაველის 8, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი. ტელეფონი: 937604.

## ხუთწლედის რიტმი

### თემურ აბულაშვილი
# სოფელი ლონიერია
### ნარკვევი

უძველესი და ულამაზესი სოფელია მატანი. ქუჩებსა და გზაშარას, სახლ-კარს, ეზოებსა და ბაღ-ვენახებს, ყველაფერს, შემო- [illegible] ...შუალო სკოლა და ერთიც საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც მევენახეებს, მეცხოველეებს, მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების კვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებს.

მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი და მოწინავე მეურნეობაა არა მარტო ახმეტის რაიონში, არამედ მთელს რესპუბლიკაში.

— ჩვენმა სოფელმა დიდი ხანია თვალში გამოიხედა. პირველ რიგში ის ჩაწერეთ, რომ სოფელში უსაქმური არა გვყავს. ჩვენს ვენახ-მამულში მშრომელი კაცი მუდამ მიწაზე იყო მიბმული, მარჩენალ მიწა-წყალს ედგა დარაჯად და მის დასაცავად ხმალი მუდამ ალესილი ჰქონდა.—გვითხრა გზად შემოხვედრილმა ბერიკაცმა და მის ნათქვამში თითქოს მთელი სოფლის სახე გაიხსნა.

მატნელი მშრომელები ერთგულნი არიან წინაპართა ტრადიციებისა. დღეს ისინი 882 ჰექტარ სრულმსხმოიარე ზვრებსა და 23 ჰექტარ ახალშენს ამუშავებენ.

აბა, გახედეთ, სადა აქვს ამ ზვრებს ბოლო?

მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ძირითადი დარგები მევენახეობა და მეცხოველეობაა.

შარშანდელი ეკონომიკური მაჩვენებლებით სამართლიანად ამაყობენ მეზვრეები: 1 ჰექტარზე 87 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს, გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და 5200 ტონის ნაცვლად 7257 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

ვაზ-ვენახის ნამდვილი მესაიდუმლენი არიანო, კაკო ესტატიშვილსა და პეტრე ფეიქრიშვილზე ითქმის. პეტრე ფეიქრიშვილი გასულ სამეურნეო წელს მოპოვებული წარმატებებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. კაკო ესტატიშვილის ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა-ვალდებულება და ჰექტარზე სარეკორდო მოსავალი — 65 ცენტნერის ნაცვლად 126 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ლენინის ორდენოსანმა ჟუჟუნა ჯანიბეგაშვილმა კვლავ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა შარშანდელი სამეურნეო წელი.

მატნელთა გარჯაზე მეტყველებს ციფრები: მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ შარშან 8 მილიონ 528 ათასის ნაცვლად 5,5 მილიონი მანეთის პროდუქცია აწარმოა. მეურნეობაში ძალზე მაღალი მაჩვენებლით —

276 პროცენტით განისაზღვრა რენტაბელობის დონე. მეთე წელა აქ მეცხოველეობა რენტაბელური დარგია და მეცხოველეობი- [illegible] ...ახსოვთ, 1977 წელს სეტყვამ გაანადგურა მათი ვენახები. სულ ჩარეგვა, მიწას დაანარცხა ვაზ-ყურძენი და მთელ სოფელს გული ჩასწყვიტა. შესაბრალისია დასეტყვილი ვენახი. ფოთლის ნასახიც აღარ შერჩება ვაზს, გაშიშვლებული, მოწყენილი და ადამიანივით სევდიანია მიწისა და მზის შვილი.

ეს იყო წინათ. მაგრამ ბუნებამ არც წელს დაზოგა. მაისის ერთ საღამოს არნახული სეტყვა წამოვიდა და ახმეტის რაიონში მთლიანად 806 ჰექტარი ვენახი, ხეხილის ბაღები და პურის ყანები დაისეტყვა.

საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივნის, ვაჟა ბატიაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბი. სასწრაფო აგროტექნიკური ღონისძიებები ჩატარდა მატნის, ზემო ალვანის, ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებსა და ახმეტის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში.

მატნელმა მეზვრეებმა დასეტყვილ ვენახებში (იგი 460 ჰექტარს შეადგენს) დროულად შეიტანეს აზოტოვანი სასუქი და შეწამლეს ბორდოს ხსნარით. ზრუნვა-პატრონობა და მონდომება არ დააკლეს ვაზს, რომ გაისად მაინც მიიღონ მოსავალი.

— ზარალი ძალზე დიდია, — ამბობს მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ჯულიეტა ზუბაშვილი. — მევენახე სეტყვისაგან დაზიანებულ ყლორტს რომ შეაცლის ვაზს, ამაზე მძიმე და გულსაკლავი შრომა რა უნდა იყოს. სტიქიამ 4000 ტონა ყურძენი მაინც დაგვაკარგვინა: 45-ჰექტარიანი ზვარი მთლიანად ხელმეორედ გაისხლა.

— დიდი ხნის დაკვირვებით დადგინდა, — სიტყვა ჩამოართვა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მერაბ ბაგაურმა, — რომ ახლანდელი წესით სეტყვის საწინააღმდეგო ბრძოლა ნაკლებ ეფექტურია და ძვირიც ჯდება. ერთხანს სეტყვის ზონებში ვენახების ბადით გადახურვაზე დაიწყეს მუშაობა, მერე თავი მიანებეს. სადღეისოდ ჩვენს მეურნეობაში 14 ჰექტარი ზვარი ბადითაა გადახურული, მაგრამ ვერც ამან უშველა. გადამჭრელი სიტყვა მეცნიერებს ეკუთვნით, თორემ შესაბრალისია დასეტყვილი ვენახი.

დიდხანს ვისაუბრეთ, თუმცა, ვატყობ, ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება მეურნეობის თავკაცებს არ ეხალისებათ. მერაბ ბაგაური ახალგაზრდა კაცია, მეორე წელია მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას უდგას სათავეში, მაგრამ მომსწრეა უფრო დიდი სეტყვისაც. 1977 წელს 18-ჯერ დაისეტყვა მატანი, მხოლოდ გაკადნიერებულ კაცს შეეძლო გეგმის შესრულებაზე ხმა ამოეღო, ეს დაცინვას უდრიდა. იმ წელიწადს ყურძნის დამზადების გეგმა თუ ვერ შესრულდა, მეურნეობამ თავი ისახელა ხილის, მარცვლეულის, ბალჩეულის, რძის, ხორცის, კვერცხის, მატყლის, აბრეშუმის პარკის დამზადებაში..

მიმდინარე სამეურნეო წელს მატნელმა მშრომელებმა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. მით უფრო, რომ ეს წელიწადი წინასაყრილობო მზადების წელიწადია. მატნელთა სურვილია, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, გამარჯვებულნი შეხვდნენ მომავალ სკკპ XXVI ყრილობას.

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ამას წინათ თელავში ჩატარდა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა გავზარდოთ მევენახეთა და მეღვინეთა წვლილი რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლისა და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის ზრდაში. ამ შეკრებაზევე ქებით მოიხსენიეს მატნელი მევენახეების შარშანდელი შრომითი გამარჯვება. ასეთი აღიარება თვალსა და გულს უხარის, ახალი წარმატებებისათვის რაზმავს მშრომელებს.

ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს უხსოვარი დროიდან შემორჩა ტრადიციული ყოფის ამსახველი დღესასწაულები, ქართველი ერის ისტორიას, კულტურას, ერის ზნეობრივ სიმდიდრეს რომ გამოხატავს.

სახალხო დღესასწაულები და ყოფის სხვა რეალიები იმთავითვე თეატრალიზებული სახით წარმოაჩენდა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებას, შრომის სიდიადეს, ბედუკუღმართობასა და მტერზე გამარჯვების სიხარულს; სოციალურ ჩაგვრასა და ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის. ერთ-ერთი ასეთი ეროვნული დღესასწაული — ბერიკაობა-ყეენობა, რომელშიაც ჩვენი ცხოვრების განვითარების მრავალი ეტაპი აისახებოდა, დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა, გაქრა.

მატანი ალბათ ერთ-ერთი იშვიათი სოფელია საქართველოში, სადაც ტრადიციულად იმართება ყეენობა. ყოველწლიურად, გაზაფხულის დამდეგს, ილხენს, ცეკვავს, მოლექსაობს, კაფიაობს მთელი სოფელი. ენამოსწრებული ყეენი და მისი ამალა დღესასწაულის მონაწილეებს კაკალ გულში გაუტარებენ ხოლმე მახვილ სიტყვას, გაზაფხულის სადიდებელ დღესასწაულზე მოაფრიალებენ მაღალ მტრედისფერ დროშას და მისი სიმაღლით წლის მოსავლის რაოდენობას, ხვავსა და ბარაქას განსაზღვრავენ.

მატნელთა ყეენობა წმინდა ხალხური დღესასწაულია, იგი შორეულ საუკუნეებში დამკვიდრებული ეროვნული ტრადიციების განმტკიცებაა. თვითმყოფადი, მშვიდობის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თავისუფლების მქადაგებელი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ სწრაფვის გამომხატველი „სპექტაკლია".

ნიღბებსა და საგანგებოდ შეკერილ ტანსაცმელში გამოწყობილი ყეენობის მონაწილენი დღესაც გულიანად დასცინიან ყოველივე უგვანოს, უარსაყოფს, სიცილის მახვილით ამარცხებენ ბოროტებას, ძალადობას, და დღესაც ისევ ისე აგდებენ ყეენს წყალში (მდინარე კურტანაძეულში), როგორც დიდი ხნის წინათ.

ამ გრანდიოზული დღესასწაულის ჭეშმარიტად ეროვნული სახე თავისი კოლორიტით, პოეტურობით, სპორტული შერკინებებით, ცეკვა-ფერხულით, წუწაობით, თავაწყვეტილი მხიარულობითა და ლხინით მშრომელი ადამიანის შეუზღუდველი სილაღის გამოვლინებაა. სოფელი იცავს წინაპართა დატოვებულ განძს, წესსა და ადათს, განამტკიცებს ერის კულტურის საფუძველს.

მატნელებს აღარც კი ახსოვთ, არჩილ ტუღულაშვილი პირველად როდის „დასვეს" ყეენად. ცხვრის გადმობრუნებულ ტყავ-კაბაში გამოწყობილ ყეენს ყელზე საგანგებოდ დამზადებული მამლის თავი, ყელიერში გამომცხვარი ნაზუქი და ხახვის გალა ჰკიდია და თავისი ამალის — „ბერიკების", „დედოფლის", „ლეკის", „თათრის", „ჩაფრების", „კუროების", „ვეზირების", „მაყრების", „ნათლიის" თანხლებით დილიდანვე იწყებს სოფლის შემოვლას.

მოწინავე მევენახე არჩილ ტუღულაშვილი მთელ სოფელთან ერთად თავგამოდებით ზრუნავს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის განახლება-აღორძინებისათვის.

წარსული დღეს ისტორიის კუთვნილებაა, იგი თანამედროვე ახალგაზრდობამ, თითოეულმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა უნდა გაითავისოს და მტკიცე საძირკველი აშენოს მომავალი. უძველესი ტრადიციების პროგრესული ფორმების დაცვასა და განმტკიცებას, კულტურული მემკვიდრეობისადმი ზრუნვას დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეტად მნიშვნელოვან დადგენილებაში. ამ საკითხს ცალკე მუხლი მიეძღვნა ჩვენს ახალ კონსტიტუციაში.

მატანი ხუროთმოძღვრული ძეგლებითაც მდიდარი სოფელია. იქაური მშრომელები თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ეროვნულ საგანძურს. უკვე აღდგენილი და რესტავრირებულია ისტორიული ძეგლები „ცხრაკარი", „ერელაანთ საყდარი", წმინდა მარინეს ეკლესია. ამჟამად მიმდინარეობს მატნის უძველესი ციხე-გალავნის რესტავრაცია, რის შემდეგაც მისი მოედანი და შემოგარენი მშრომელთა დასვენების, სახალხო დღესასწაულების საზეიმო ადგილად გადაიქცევა. აქ გაუწვდიან ერთმანეთს ხელს წარსული, თანამედროვეობა და მომავალი.

## ვლადიმერ მაიაკოვსკის დღეები საქართველოში


ვლადიმერ მაიაკოვსკი

### მ ი ს მ ი ნ ე!

მ ი ს მ ი ნ ე!
თუკი ვარსკვლავებს ანთებენ ცაზე —
მაშასადამე — ეს საჭიროა?
მაშასადამე — ვიღაცას უნდა,
ცა ვარსკვლავებით რომ იყოს სავსე?
მაშასადამე — ყოფილა მართლაც
ვიღაც, ვინც ამ ცას
მძივებად მარცვლავს.
ვინც ქარიშხლოვან მტვერში
შლეგივით
შიშით შეძრული
აწყდება უფალს, —
ტირის, უკოცნის
ძარღვიან მტევანს
და ევედრება
გამგებელს ასე:
ენთოს ვარსკლავი ცაზე!
იცის, ვერასდროს ვერ გადაიტანს
უვარსკლავებო ტკივილს.
სწორედ ამიტომ
არ ინდობს დრო-ჟამს
ვერ ისვენებს და
ჰ კ ი ტ ი ს.
მერე მშვიდდება
და ეკითხება
ვიღაც მომაკვდავს ბედად:
„ახლა ხომ იგრძენ
პატარა შვება?
ხომ აღარ გტკივა?
ხედავ?"
მ ი ს მ ი ნ ე:
თუკი ვარსკვლავებს ანთებენ ცაზე —
მაშასადამე — ეს საჭიროა?
მაშასადამე — ყოველ საღამოს
ამ გადაჟანგულ სახლების თავზე
აუცილებლად ბრწყინავდეს უნდა,
ერთი ვარსკვლავი რა არის, მაგრამ,
ერთი ვარსკვლავი თუნდაც!

1914 წ.

### დ ა ც ი ნ ვ ა

ფარშევანგის კუდივით
ფანტაზიის ფართო ციკლს ვიქნევ,
სულს ვუთმობ რითმებს და
სამართალს ვეძებ, —
მინდა მოვუსმინო გაზეთის ვირთხებს,
მარჩენალ მუხას რომ
უ ღ რ ღ ნ ი ა ნ
ფ ე ს ვ ე ბ ს...

1916 წ.

### პ ა ს უ ხ ი ა გ ე თ

ომის დოლური რიტმების თავსხმა.
გამდნარი რკინა. ტყვიების მარში.
ყოველ ქვეყნიდან
მორჩილი მასა
ხიშტზე ეგება მშიერი ფაშვით.
რატომ?
ან რისთვის?
ცახცახებს მიწა.
მსოფლიო სისხლის ორთქლით განბანეს.
მხოლოდ იმიტომ, რომ სადღაც ვიღაც
მგელივით დააცხრეს
ალბანეთს...
ერთი მეორეს სიკვდილით აღგზნებს,
ერთი მეორეს შმაგივით უტევს,
მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც ხვალ-ზეგ
უფასოდ გადიოდეს
ბოსფორის სრუტეს.
ჩქარა მსოფლიოს
ო, ალბათ ნეკნიც
აღარ შერჩება უბრალოდ მთელი,
მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც კრეტინს
უნდა აფრიკას გამოსჭრას ყელი.
რატომ?
ან რისთვის?
უხეში ჩექმით
რად ითელება სიკეთის ცნება?
ამდენ სისხლისღვრას
რა მოაქვს ჩვენთვის, —
თავისუფლება?
მანეთი?
შვება?
ნეტა, როდისღა იქცევი რისხვად,
შენ, ვინც უაზროდ
ეს ცოდვაც ზიდე?
როდის იკითხავ, ვიცოდე მინდა,
„რატომ ან ვისთვის
ვიომო კიდევ?!"

1917 წ.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

# რესპუბლიკა საყრილობო ვახტზე!

მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

წარმოების და სოფლის მეურნეობის მოწინავენი დგებიან წინასაყრილობო შრომითს ვახტზე და თავიანთ გამარჯვებებს უძღვნიან ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს.

ქარხნებსა თუ ფაბრიკებში, ვენახებსა თუ პლანტაციებში, ფერმებში გაჩაღებულია დიდი შემოქმედებითი შრომა.

მშრომელი კაცი გულდასმით ეცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 23 ივნისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას, სადაც ნათქვამია: „ყოველი ყრილობა ახალ ჰორიზონტებს უსახავდა ჩვენს პარტიასა და მთავრობას. მჯერა, ასეთი იქნება მომავალი ყრილობაც, რომელმაც უნდა განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის დამდეგ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა".

ჩვენი პარტიის მეთაურის ეს სიტყვები ბევრს ავალებს საბჭოთა ხალხს სკკპ მორიგი XXVI ყრილობის ღირსეულად შესახვედრად.

იმ მოწინავე მეჩაიეთა შორის, რომლებიც იბრძვიან ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მისაღებად, არის ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ინესა მარკოზია, რომელმაც ივალდებულა მასზე გაპიროვნებული ნაკვეთიდან ნაცვლად 3.500 კილოგრამისა, მოკრიფოს და სამშობლოს უპატაკოს 7000 კილოგრამი „მწვანე ოქროს" ჩაბარება.

გარჯას უქებენ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის მევენახეებს ა. როსტიაშვილს და ვ. სოლომნიშვილს, რომელთა მოვლილი ზვრები მართლაც რომ სანაქებოა მთელს რაიონში.

ოცდახუთი წელია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შრომობს მილსაგლინავი საამქროს ოსტატი გიორგი გულომშვილი, რომლის დიდ ოსტატობაზე მეტყველებს ისიც, რომ მის მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის მაღალხარისხოვანია.

შრომობს მშრომელი კაცი, ჩვენი მიწა-წყლის შვილი და ხარობს, რომ მისი შრომა ქვეყანას, ხალხის კეთილდღეობას, ქვეყნის სიძლიერეს ადგება.

დგას საქართველო წინასაყრილობო ვახტზე!

ფოტოები მ. კვირიკაშვილისა და საქინფორმის ფოტოქრონიკისა.







### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1980 წლის 1 ივლისს 75 წლისა გარდაიცვალა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი

**არჩილ ესტატეს ძე ჩხარტიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|

# თარგმანი — დღეს, თარგმანი — ხვალ...

1. რა მიგაჩნიათ ბოლო წლების ქართულ მთარგმნელობითს ლიტერატურაში მთავარ მიღწევად?

2. ბოლო ხანს საკმაოდ მწვავედ კამათობენ დედნისადმი ერთგულებისა და ე. წ. თავისუფალი თარგმანის თაობაზე. გთხოვთ ორიოდე სიტყვით გაგვიზიაროთ ამ პრობლემისადმი თქვენი დამოკიდებულება.

3. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თარგმნილი ლიტერატურის ქართულად გამოცემაში კვლავ სტიქიურობა და თვითდინება სუფევს? ამჩნევთ თუ არა ბოლო წლებში არსებით გარდატეხას ან „შემოქმედებითს წესრიგს"?

4. რა გზით უნდა წყდებოდეს ქართული ლიტერატურული ნაწარმოების სხვა ხალხთა ენებზე თარგმნისა და გამოცემის საკითხი?

5. გთხოვთ დაგვისახელოთ მსოფლიო ლიტერატურის მთავარი ნაწარმოებები, რომელთა ქართულად თარგმნაც აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიგაჩნიათ.

6. რას თვლით ხელახლა სათარგმნად მსოფლიო ლიტერატურის უკვე თარგმნილი ნიმუშებიდან?

## ჯემალ აჯიაშვილი:

მთარგმნელობითი მეთოდების სხვადასხვაობაზე დავა ახალი დაწყებული არაა. ძირითადად, ყველა შეთანხმებულია იმაში, რომ მთარგმნელმა, შეძლებისდაგვარად, უნდა უერთგულოს დედანს, მაგრამ თითოეულს თავისებურად ესმის დედნისადმი ერთგულების პრინციპი. ერთნი გამოხატვის ადექვატურ საშუალებებს ეძებენ, მეორენი კი მაქსიმალურ (ზოგჯერ აბსოლუტურ) სიზუსტეს მოითხოვენ, რაც, სიზუსტის ცნების მათეული გაგებით, არსებითად მიუღწეველია. ეს ჭეშმარიტება იმთავითვე კარგად იყო ცნობილი. ძველებრაელი ღვთისმსახურები სარიტუალო წესების აღსრულებისას (რომელთა ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი საღვთო წიგნები იყო) მხოლოდ და მხოლოდ დედანს ეყრდნობოდნენ, რადგან „თარგუმში", მათი აზრით, წიგნი კარგავდა სასწაულმოქმედების იმ ძალას, რომელსაც ღვთაების ნება უნდა გაეცხადებინა მრევლისათვის. მაგრამ „სასწაული" მაინც მოხდა: ძველი აღთქმის წიგნების პირველმა ბერძნულმა თარგმანებმა (ე. წ. სეპტუაგინტა), რომელიც ქრისტეს დაბადებამდე ორი საუკუნით ადრეა შესრულებული, უშუალო ბიძგი მისცა ქრისტიანული იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, რამაც თეოლოგები აიძულა, ძირეულად გადაესინჯათ თავიანთი ადრინდელი შეხედულებები თარგმანის რაობაზე.

აქედან მოყოლებული, მთარგმნელობითი საქმიანობა განვითარების მრავალ საუკუნეს ითვლის, მაგრამ ჯერაც არ მოხერხებულა მეტ-ნაკლებად მყარი კრიტერიუმის დადგენა. ასეთ პირობებში, დიდი ხნის წინათ დაწყებული პოლემიკა, როგორც ჩანს, მომავალშიც არ დაკარგავს სიმძაფრესა და ცხოველმყოფელობას. მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკულად კი, — თუ თარგმანი შემოქმედებაა, მაშინ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წინასწარგაუცნობიერებელი შემოქმედებითი აქტი რამდენადმე მაინც განსაზღვრავს დედანთან მიმართების ამა თუ იმ ასპექტს. თუმცა, რაკი მეთოდების სხვადასხვაობაზეა ლაპარაკი, იქნებ, ნაწილობრივ მაინც საგულისხმო იყოს ჩვენს ლიტერატურულ პრაქტიკაში ადრე გავრცელებული წესი, — თარგმანის ყოველ კონკრეტულ სახეობას თავისი სახელწოდება რომ ჰქონდა. ასეთი კლასიფიკაცია ერთგვარ ზღვარს დაუდებდა გამუდმებულ დავასა და პოლემიკას, რომელიც, რა დასამალია და, მეტწილად სუბიექტურობის ნიშნით არის აღბეჭდილი.

თარგმანის ხელოვნებაში ისევე, როგორც ნებისმიერ ხელოვნებაში, გამორიცხულია აბსოლუტურ სიზუსტეზე ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ თვით „ზუსტი მეცნიერებებიც" მეტ-ნაკლებად სცოდავენ სიზუსტეში. „სიზუსტე ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიმართლეს". ეს თვალსაზრისი გარკვეულწილად თარგმანზეც ვრცელდება, განსაკუთრებით კი — ლექსის თარგმანზე, სადაც შეხედულებათა ნაირგვარობის გამო არ ხერხდება სიზუსტის ცნების დადგენა. თუ სიზუსტე მხოლოდ და მხოლოდ სემანტიკურ იდენტურობასა (ძირითადად) და გარეგნული ელემენტების იგივეობას გულისხმობს, მაშინ ამის მიღწევა სალექსო ტექნიკის ხარჯზეც შეიძლება (ცხადია, გარკვეული გარჯის საზღაურად). მაგრამ მარტო პროფესიული გაწაფულობა, მიუხედავად მისი უდავოდ კეთილმყოფელი შედეგებისა, ვერ შექმნის მხატვრული შემოქმედების იმ ეფექტს, რასაც ჭეშმარიტ ხელოვნებასთან თანაზიარობა ჰქვია. კიდევ სხვა რაღაც არის საჭირო, — ის, რაც ყოველ კონკრეტულ ლექსს პოეზიად აქცევს. ეს „რაღაც" ხშირად ვერ თავსდება წმინდა პროფესიონალიზმის ჩარჩოებში და შეფასების განსხვავებულ კრიტერიუმებს საჭიროებს.

თავისუფალი თარგმანის არსი, პირობითად, ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული: პირველი, დედნისადმი გააზრებულ მიდგომაზე მეტად, სტიქიურობას გულისხმობს, მეორე კი სათარგმნელი ნაწარმოების კომპლექსურ შესწავლაზე, მისი შინაარსობრივ-ფორმისეული აქცენტების ნიუანსობრივ წვდომაზეა დაფუძნებული. ასეთ შემთხვევაში ცალკეული ინტერპრეტაციები არ გამორიცხავს პოტენციური სიზუსტის შესაძლებლობას. ესაა პოეტური სიზუსტე, რომელიც, არცთუ იშვიათად, ლექსის განსხვავებული კომპონენტების მეტ-ნაკლები ბალანსირების ხარჯზე მიიღწევა. ცხადია, ასეთი სიზუსტე არ უარყოფს სემანტიკური თარგმანის საჭიროებას, თუმცა ზოგჯერ არც ამას ანიჭებს გადამწყვეტ უპირატესობას.

მთარგმნელობითი ინტერპრეტაციის მასშტაბები დედნის შინაგანი თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ამას კი, მრავალ სხვა წინაპირობასთან ერთად, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სოციალური ფაქტორებიც განსაზღვრავს, რაც ზოგჯერ დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს მთარგმნელისაგან. თუ, ვთქვათ, არაბულ პოეზიაში ლამაზი ქალი აქლემთანაა შედარებული, რაც ლოკალური, საკუთრივ არაბული ყოფა-ცხოვრების ლოგიკითაა გამართლებული, — მთარგმნელმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ არც დედნის ეთნოგრაფიულ-ყოფითი აქცენტები დაიჩრდილოს და არც თარგმნილი ლექსის ადრესატი დარჩეს შეურაცხყოფილი...

მაგრამ ეს მაინც ცალკეული შემთხვევებია, — ინტერპრეტაციის ხარისხი და რაგვარობა არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ექვემდებარება ესა თუ ის ნაწარმოები სხვადასხვაგვარ ახსნასა და განმარტებას. ცნობილია, რომ ხელოვნების ყოველ ქმნილებას განსხვავებულ, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო კვალიფიკაციასაც კი აძლევენ არა მარტო სხვადასხვა დროისა და ქვეყნის, არამედ ერთი გეოგრაფიული გარემოსა და ერთი სოციალური წრის წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, რაკი მთარგმნელობითი საქმიანობა ადამიანებზეა მინდობილი, „ადამიანი კი სტილია", ყოველ კერძო შემთხვევაში მოსალოდნელია განსხვავებული მთარგმნელობითი ხელწერა. ასეთ ვითარებაში თავს იჩენს გარკვეული ტენდენცია, როცა ახლებურ გააზრებას იძენს ესა თუ ის პოეტური ცნება, ისე, რომ მისი ადგილი „სხვა ეპოქაში, სხვა სინამდვილეში, სხვა სულში შეიძლება დაიკავოს მისგან სრულიად განსხვავებულმა ცნებამ, ე. ი. შეასრულოს იგივე როლი, დააკმაყოფილოს იგივე მოთხოვნილება" (პოლ ვალერი). ცალკეულ შემთხვევებში ამ კონტექსტშია გააზრებული ლექსის ადექვატურობის ძირითადი კონტურები...

ცხადია, მეტ-ნაკლები ინტერპრეტაციები არ ცვლის ნაწარმოების ძირითად არსს. იგი, როგორც წესი, უცვლელი რჩება და არ კარგავს თავის შემეცნებით ღირებულებას. მეორე მხრივ კი, ასეთი ინტერპრეტაციების წყალობით, ნაწარმოები ინარჩუნებს მუდმივქმედების შინაგან იმპულსს, მწერლობაში მიმდინარე პროცესების უფრო სრული გააზრების შესაძლებლობას იძლევა და, არცთუ იშვიათად, თავისებური კორექტივებიც შეაქვს სადღეისო ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს კი მრავალ ასპექტში იჩენს თავს. ამათგან, რაკი მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითადი თავისებურება მაინც ენის სტიქიასთან მიმართებაში მჟღავნდება, ყოველი კონკრეტული თარგმანი გარკვეული ენობრივი პოზიციის გამომხატველიცაა, რაც, ცხადია, სათარგმნელი ნაწარმოების ენობრივი თავისებურებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით ცხადად შეინიშნებოდა ჩვენი მთარგმნელობითი ისტორიის ადრეულ ეტაპებზე, როცა მანამდე უცხო და უჩვეულო ენობრივი ფორმები გაბედულად შემოდიოდა და ზოგჯერ მტკივნეულად, მაგრამ მაინც თავის კუთვნილ ადგილს იკავებდა ქართული ენის პლასტიკურ ქსოვილში.

ასეთი სიახლეებისკენ სწრაფვა ერთი პირობა შენელებული იყო ჩვენს მთარგმნელობით პრაქტიკაში, რაც ენობრივი ნიველირების საფრთხეს ქმნიდა. ბოლო ხანებში კი, ამ მხრივ, მართალია, არა ისეთი სიცხადით, მაგრამ მაინც შეინიშნება გარკვეული ორიენტაცია, რაც ენობრივი მრავალფეროვნებისკენ მისწრაფებაში გამოიხატება. თანამედროვე ევროპული და ამერიკული პოეზიის ისეთი ნიმუშების თარგმნისას, სადაც უმეტესად აზრის პრიმატი ცნაურდება და ტრადიციული მეტაფორული აზროვნება (რაც ყალბად გაგებული პოეტურობის გამო ზოგჯერ სტილის გაფუყულობასა და მანერულობაში იყო ხოლმე გადაზრდილი) განდევნილია სალექსო სტრიქონებიდან, ცხადი გახდა უკიდურესად კომპაქტური და მომჭირნეობითი, მისხალ-მისხალ შეწონილი სიტყვიერი არსენალის საჭიროება. ეს წესი, ცხადია, მარტო პოეზიაზე არ ვრცელდება, ესაა სადღეისო სტილი, როცა ტრადიციულ ფერადოვნებას გამოსახვის ზომიერი ფორმები ენაცვლება ხელოვნების ნებისმიერ სფეროში... აღმოსავლური პოეზიის ცალკეულმა თარგმანებმა კი, სადაც მარადიულ პრობლემებზე ლაპარაკი ზოგჯერ მისტიკურ ალეგორიებშია გაჯერებული, უფრო ზეაწეული სტილი მოითხოვა, რაც, აზრის ფილოსოფიურ მდინარებასთან ერთად, ფრაზის გარეგნულ ბრწყინვალებასა და ორნამენტულობაში მჟღავნდება. (აღმოსავლეთის ცნებაში ჩვენთვის ტრადიციულად გაგებული აღმოსავლეთი იგულისხმება, თორემ, ვთქვათ, იაპონური ხელოვნება უაღრესი ლაკონიურობით ხასიათდება, რაშიც თავისებურად აირეკლა იაპონელთა ნაციონალური ხასიათის ერთ-ერთი მხარე, კერძოდ კი გარე-სინამდვილესთან მათი მიმართების რაციონალური ასპექტი. პოეტური დეტალების მეტ-ნაკლები სიმსუბუქითა და ბუნებრიობით გამოირჩევა ძველეგვიპტური ლირიკაც...).

ყოველ კონკრეტულ მოვლენას შესაბამისი გამოსახვის ფორმა გააჩნია, რაც ჩვენი ყოფის მრავალსახეობრივ აღქმას ემსახურება. ასევეა მწერლობაშიც და, თუ გნებავთ, თარგმანშიც. ამდენად, შემოქმედების ამ სფეროში ნაირგვარი თვალსაზრისები, თუნდაც ეს განსხვავებულ ენობრივ პოზიციებს გულისხმობდეს, კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ მეტი სისრულითა და სისავსით წარმოაჩენენ ენის მრავალსახოვან კონტურებს. სხვაგვარად გარდაუვალია ენობრივი ერთნიშნადობისა და უნიფიკაციის საფრთხე. თუ მართალია, რომ ყოველ ეპოქას სიტყვათა თავისი რეგულარული ლაშქარი ჰყავს, მაშინ მას სათანადო რეზერვებიც უნდა უმაგრებდეს ზურგს. რაც უფრო ღრმა და ძლიერია ზურგი, მით მეტია ლაშქრის გადახალისებისა და მანევრირების შესაძლებლობა. ამის საშუალებას კი სიტყვათა გარკვეული კატეგორია, ან მათი რომელიმე, თუნდაც ეპოქისმიერ-ლოკალური ჯგუფი კი არ ქმნის, არამედ ენის ისტორიული გამოცდილება, რაც თავისთავად ზედროული, მარადარსებული ფენომენია. მწერლისათვის არ უნდა არსებობდეს სიტყვათა მეტ-ნაკლები იერარქია, მათი დაყოფა ვარგის და უვარგის, ძველ და ახალ, ლამაზ და ულამაზო სიტყვებად. ნიჭიერი პოეტის ხელში ყოველი, ერთი შეხედვით „საყველპურო" სიტყვა ზედმეტი ფერ-უმარილის გარეშეც წარმოაჩენს თავის დაფარულ მშვენიერებას. პოეტურ მეტყველებაში ამა თუ იმ სიტყვის ნამდვილ ღირებულებას სათანადო კონტექსტი ამჟღავნებს, რის შედეგადაც სიტყვა იძენს ემპირიული თვალთახედვით შეუმჩნეველ განზომილებებს.

ეს ზოგადი თვალსაზრისი, რომელიც თარგმანის ყოველ სახეობაზე ვრცელდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კლასიკური თხზულებების სადღეისო თარგმანებში იძენს, რამდენადაც წარსულისა და აწმყოს თანაარსებობაში, სხვადასხვა დროისმიერ ინტერვალებში უფრო ნათლად ირეკლება ენის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების სიავკარგე, მთელი მისი სისავსე და სრულყოფილება. კლასიკური მემკვიდრეობისადმი ინტერესი კი დღითიდღე იზრდება, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. დღევანდელი კაცობრიობის გამძაფრებული ნოსტალგია თავისი ბავშვობისადმი ჩვეულებრივი ანტიკვარული გატაცება კი არაა, არამედ მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება, რომელიც საიმედო პერსპექტივებს უსახავს სულის გადასახალისებლად მიმართულ მცდელობას. ხელოვნების კლასიკურ ქმნილებებში კი თვალსაჩინოდ ცნაურდება ადამიანისა და სამყაროს შედარებით უშფოთველი, იდილიური ურთიერთობა, მათი ურთიერთმიმართების ტრადიციული მთლიანობა და ჰარმონიულობა. ეს პროცესი გვაიძულებს უფრო გულდაგულ ჩავიხედოთ ჩვენი მეხსიერების ლაბირინთებში. ამ კონტექსტში ცხადი ხდება კულტურული სიძველეების უდიდესი მნიშვნელობა. ამავე კონტექსტში გაიაზრება ლიტერატურული მემკვიდრეობის თარგმნის მნიშვნელობა და აუცილებლობაც.

## გიორგი ბაქანიძე:

1. დაახლოებით ბოლო ორი ათწლეული ქართული ლიტერატურული პროცესის უეჭველი ინტენსიფიკაციის პერიოდია. ამ პროცესში თანდათან გაიზარდა და გამოიკვეთა მხატვრული თარგმანის როლი და ადგილი, აშკარად ჩანს ქართული ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურების ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების საკეთილო ტენდენციებიც. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის წვლილი, მხატვრულ თარგმანს ქართული სალიტერატურო ენის განვითარება-გამდიდრებაში რომ შეჰქონდა და შეაქვს. ქართული სამწერლო ენა მხატვრულმა თარგმანმაც შემოგვინახა. ამ თარგმანებზე დაკვირვება ენის განვითარების გზებზე დაკვირვებაცაა, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა იყო ამ გზებზე კანონზომიერი და ორგანული და რა — სხვადასხვა ისტორიულ ძნელბედობისას ალოგიკურად შემწყდარი და გამრუდებული, სად რა მოგვახვია თავს ამა თუ იმ უცხოენობრივმა ექსპანსიამ, რა დავკარგეთ, რა შევითვისეთ და გავისაკუთრეთ... თარგმანი ორი ენის ერთგვარი შეჯიბრებაცაა, და მშობლიური ენის სავსებით კანონზომიერი სიყვარულით აღძრული მთარგმნელი დიახაც სიამაყეს გრძნობს, როცა მისი ენა შეძლებს და „დაიმორჩილებს" დიდი სამწერლო პრაქტიკით ძალმოსილი რომელიმე უცხო ენის რთულ სტილისტურ, მხატვრულ-სააზროვნო (აზრის ცნობიერი შინაარსი და მისი გრამატიკული ფიქსაცია ერთმანეთთან განუყოფელ კავშირშია) სტრუქტურებს. მთარგმნელი საკუთარ „ზ ურ გ ზ ე" გრძნობს, რა სფერო აქვს მშობლიურ ენას უფრო ძლიერი, რა — შედარებით სუსტი, და რა არის საჭირო, რათა ენა კიდევ უფრო ღონიერი, მოქნილი, მობილური გახდეს, რათა, იმ ღვთაებრივი პოზისა არ იყოს — მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდაო, — შემოქმედის სათქმელს სიტყვა არ აბრკოლებდეს, არ ბოჭავდეს, არ ანაკლულებდეს, ლაღად, თავისუფლად მიჰყვებოდეს... თარგმანი ისეთი პროცესია, აუცილებლად მოითხოვს ენის ყოველ მუხლსა და სახსარში ჩახედვას, ყოველი ენობრივი ნიუანსის გაცნობიერებას, ქმნადობას ენისა. სადღეისოდ, მაგალითად, პროზაზე თუ ვილაპარაკებთ, თანამედროვე მსოფლიო მწერლობის უკეთეს ნიმუშებში გამოვლენილი, მხატვრული აზროვნების სპეციფიკით გაპირობებული სტილისტური თავისებურებების სავალდებულო (სავალდებულო-მეთქი, რადგანაც ამ თავისებურებებზე უარის თქმა სათარგმნი ნაწარმოების მთელი ესთეტიკური პროფილის იგნორირება იქნებოდა) გადმოღებამ ქართული სალიტერატურო ენის სინტაქსური პოტენციალის მაქსიმალური ძალისხმევა, მის სტილისტურ შესაძლებლობათა „ზღვარზე გამოსვლა" გამოიწვია, რაც გამოიხატა თუნდაც წინადადების, როგორც სტილისტური ერთეულის გაფართოებით, ამ ერთეულად უკვე წინადადება-აბზაცის, ე. წ. პერიოდის შემოსვლით და მრავალი სხვა ნიუანსით, რაც კარგად მოეხსენებათ ამ პროზის მთარგმნელებს, ანდა იმას, ვინაც დღეს-ხვალ პრუსტის პროზას ან, ვთქვათ, მარკესის ბოლო რომანს მოკიდებს ხელს, სწორედ ამ ვეება წინადადება-აბზაცებით რომ არის გაწყობილი და, თუკი ნამდვილი თარგმანი გინდა, მაქსიმალურადაც უნდა „გასარჯო" ქართული წინადადება. აღარაფერს ვამბობ ქართული პოეტური ენის დაუსაზღვრავ, თვით პოეტური შემოქმედებითი სპეციფიკით სტიმულირებულ სიტყვათქმნადობით შესაძლებლობებზე, რაც დიდ პერსპექტივას უხსნის თუნდაც გალაკტიონის პოეზიაზე აღზრდილ და დაგემოვნებულ პოეტ-მთარგმნელებს. ვინაც ზოგადი ჩვენი მთარგმნელის შემოქმედებას ამ მხრივ დაკვირვებია, აუცილებლად შეამჩნევდა, რომ ქართული ლიტერატურული ენის ამ ბოლოდროინდელ დუღილში თარგმანის როლი უეჭველი ფაქტია. ეს დუღილი კი, ავსების, განახლების, დადგინების საიმედო ტენდენციები დღეს ნამდვილად გვაქვს ჩვენს ლიტერატურულ ენაში. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ რაოდენობრივად უჩვეულოდ გაიზარდა და წლიდან-წლამდე უფრო მეტი ტემპითაც იზრდება ჩვენი საერთო, ხარისხიანი თუ უხარისხო ლიტერატურული პროდუქცია და, მაშასადამე, ის მასალაც, რასაც დროის მონაკვეთში, ვთქვათ — ერთ წელიწადში „ამუშავებს" აქამდე არც ესოდენ მძიმე ჭაპანში შებმული ჩვენი ლიტერატურული ენა. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ვეება ლექსიკონებში ძალმოჭმული და ვერდატეული, ყოველმხრივ ფუნქციონირებული დიდი ენების გვერდით ჩვენი უძველესი ენაც გრძნობს თავის დაუფიქსირებელ ზღვა-საუნჯეს, თავის დაუხარჯავ ლექსიკურ თუ სინტაქსურ პოტენციალს და სწორედ გაცხოველებული ლიტერატურული პროცესის მოთხოვნილებათა შესაბამისად ცდილობს მომძლავრებას. თავისი განვითარების დღევანდელი ლოგიკით, თავისი შინაბუნების კარნახით იგი თანამედროვე მობილური ენისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მეტი დემოკრატიულობისაკენ მიისწრაფვის. ამისდაკვალად, საგრძნობლად მცირდება ის დისტანციაც, რაც დღეს სალიტერატურო და „საერო" ენებს შორის შეიმჩნევა („საერო" ენაში ამა თუ იმ კონკრეტულ დიალექტს კი არა, არამედ ამ დიალექტთა პოტენციურ ჯამს, ერთგვარ აბსტრაქტულ ფენა-შუალედს ვგულისხმობ, რომელიც დიალექტსა და ლიტერატურულ ენას შორის ძევს და ამ უკანასკნელის საარსებო დვრიტაა). ბევრ ჩვენს შემოქმედს, პოეტსა თუ პროზაიკოსს, დღეს თამამად და, უმეტესწილად, გემოვნებითაც შემოაქვს ლიტერატურულ ენაში ყოველივე საუკეთესო, რაც კი თავისმა ქალაქმა თუ სოფელმა, კუთხემ, სოციალურმა წრემ თუ „შიდა ჯგუფმა" გამოატანა. ამ პროცესის მეტი გაცხოველება ჩვენი ლიტერატურული ენის საკეთილდღეო პერსპექტივად მესახება და, რასაკვირველია, არ ნიშნავს სამწერლო და „საერო" ენებს შორის დისტანციის მოშლის მოთხოვნას, მით უმეტეს, რომ „საზღვარი" მათ შორის დიფუზიურია და ლოგიკურადაც გამორიცხულია რაიმე გაერთმნიშვნელიანება. ერთმა მწერალმა დაიჩივლა, ზმნის მესამე სერიის ფორმები გრამატიკის სახელმძღვანელოებსღა შემორჩა, ლიტერატურაში კი სანთლით საძებარი გაგვიხდაო. ეს ფორმები კი კვლავაც აქტიურია ჩვენს „საერო" ენაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ „საერო" ენაშია დაუნჯებული უზარმაზარი ლექსიკური ფონდი, რომელიც მხოლოდ იმიტომ ინახება დიალექტიზმებად, რომ თავის დროზე, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ლიტერატურულად ვერ გაფორმდა, ანდა გაფორმდა და ვეღარ გააქტიურდა, რაკი თვით ლიტერატურული პროცესი არ იყო აქტიური და ამ ფონდის „მუშა" მინიმუმითაც იოლად გადიოდა ფონს... ასევე, ყოვლად გაუმართლებელი, ვიწრო ენობრივი პოზიციაა უკიდურეს-პურისტული იგნორირება იმ ზოგადი, საერთაშორისო ლექსიკისა (ზოგი რედაქტორი და გამომცემელი ასე რომ ებრძვის ხოლმე), რომელსაც ყოველი თანამედროვე, პოეტურ-ფოლკლორული ხიბლიდან რახანია თავდახსნილი და „მაღალ აბსტრაქციებში" მეტნაკლებად ნამუშევარი ენა უნდა იკრებდეს თავის წიაღში. გარკვეული აზრით, იგივე შეიძლება ითქვას სხვადასხვა უცხოენობრივ ფორმებზე, რომლებიც, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უკვე კარგა ხანია შეიფერა ჩვენი ენის ბუნებამ, ორგანულად და სამუდამოდაც გაითავისა, მით უმეტეს — ჩვენმა „სააზროვნო" ენამ, რომელშიაც უფროორე საგრძნობია სხვათა ენის სინტაქსური თარგების კვალი, რაკი ჩვენი ლიტერატურის მრავალი დიდი მესვეურის ინტელექტუალური ჩამოყალიბება სწორედ ამა თუ იმ უცხო ენობრივ გარემოცვაში ხდებოდა... აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს ლიტერატურული ენა მეტად და მეტად აკვირდება და აცნობიერებს ისტორიის სიღრმეში განფენილ თავის შრეებს, აქედანაც საზრდოობს, ცდილობს ზოგი გაწყვეტილი ფესვის გაცოცხლება-გამთლიანებას და ეს გაღვიძებული ენობრივი თვითშეგნებით ნაკვები ტენდენციაა. და ყოველივე ეს, მთლიანობაში, ქმნის კიდეც ქართული ლიტერატურული ენის სადღეისო და სახვალიო, დიალექტიკურად მარადმდინ ცოცხალ სურათს, ხოლო ის ენა, რომელსაც ყველაფერი საბოლოოდ დაწმენდილი და აბსოლუტურად „თავ-თავის ადგილზე დალაგებული" აქვს, ცოცხალი კი არა, მკვდარი ენაა. ოღონდ, სწორედ ამ დუღილის, სტილისტურ თუ ლექსიკურ სიახლეთა ფორსირებული მოძალების გამოც არის, დღეს ხშირად ზოგ გამოცდილ ლიტერატორსაც რომ უჭირს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურული ენის მთლიანობის ორგანული შეგრძნება, ზოგჯერ თვით პროფესიონალი მწერლისა თუ მთარგმნელის ნაკალმევშიაც სტილისტური სიჭრელე, ერთგვარი მწიგნობრული ხელოვნურობა თუ ენობრივი ესთეტიზმი, ენის სხვადასხვა ფენიდან ჰაიჰარად ამოკრებილ-დაჯგუფებული გრამატიკული ფორმების „ჯანყი" რომ გვხვდება, ანდა შეფასების არასტაბილური, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული კრიტერიუმები რომ გვაქვს ხოლმე: ერთი და იგივე თარგმანი ერთს შედევრად მიაჩნია, მეორეს კი ენის განვითარების მაგისტრალური გზიდან გადახვეულ მწიგნობრულ ჩალიჩად, არადა, ორივე შემფასებელი თითქოს ენისა და ლიტერატურაში ჭკამოჭრილი კაცი გახლავთ.

ლიტერატურულ ენაზე ზრუნვა ყოველთვის იყო და არის ჩვენი მწერლობის წმიდათაწმიდა ვალი. მხატვრულ თარგმანს კი, ცნობიერად ხდება ეს თუ სტიქიურად, ამ ბოლო ათწლეულებში მეტად ღირსეული წვლილი შეაქვს ლიტერატურული ენის განვითარებაში, რასაც ყველა დაინახავს, ვინაც კი ჩვენი წამყვანი მთარგმნელების ნაღვაწს ამ ასპექტით ჩაუკვირდება. ეს მთარგმნელები უცხო ენებისა და ლიტერატურების ჩინებული მცოდნენი, დიდ კულტურებს ნაზიარებნი, მაშასადამე — დიდადაც ჰორიზონტგახსნილნი და ფართო თვალსაწიერებისაკენ ჩვენი საერთო ლიტერატურული ცხოვრების მიმდრეკნი გახლავან და, მარტო თარგმანში კი არა, ლიტერატურის, კულტურის ყოველ უბანზე საკუთარი, ჭეშმარიტად ანგარიშგასაწევი სიტყვის მთქმელნიც. ყოველივე ეს, ერთად აღებული, მიმაჩნია სწორედ „ბოლო წლების" ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მთავარ მიღწევად.

2. მე დედნისადმი ერთგულების, ამ ერთგულების შესაძლებელი მაქსიმუმის მომხრე ვარ, თუმცა კი ვიცი, რომ მთარგმნელს, რა ნიჭიერიც არ უნდა იყოს იგი, ამომწურავად მუდამ უთარგმნელი დარჩება დედნისეული „მოცულობა" თუ „თავდაპირველი სახეშემოსილება" სიტყვისა თუ სიტყვათა რიგისა, დროითა და კულტურული გარემოცვით აღბეჭდილი მათი ისტორია და ასოციაციური პოტენციალი, გაუცნობიერებელი, სუბიექტური საწვდომი სახეობრივი შინაარსი ან თუნდაც გრაფიკულ სტრუქტურაშიც კი დამარხული რამ იმპულსი, ყოველივე ის, რაც მხოლოდ მშობლიური ენით შეიგრძნობა და, ვაჟასი არ იყოს, „არ აიხდება ხელითა", ყოველივე ის, რაც ხშირთოდ შემოქმედების მასტიმულირებელი წიაღია და ურომლისოდაც არც პოეზია იარსებებდა (ახლა წარმოვიდგინოთ, რამდენ რამეს კარგავს დედნის ენის უცოდინრად გაკეთებული თარგმანი!). თეორიულად, რაღაც დასაშვებ დიაპაზონში, იქნებ თავისუფალი თარგმანიც არ იყოს ხელწამოსაკრავი, მით უმეტეს — პოეზიისა, მაგრამ არა მგონია დასაფიქრებელი არ იყოს ის ლიტერატურული საქმოსნობა, დღეს სწორედ ამ თეორიის ალმის ქვეშ რომ ყელყელაობს და თავმოწონებულიცაა, თან შესაბამისი ბაზისითაც მოტივირებული და სანქცირებული. ლაპარაკია იმ პრაქტიკულად ზღვარდაუდებელ სამოქმედო არეზე, იმ უნაპირო ამპლიტუდაზე, რომლის ფარგლებშიაც ეს „თავისუფლება" ხორციელდება. ჩვენს სინამდვილეში, მოძმე ხალხთა ლიტერატურების ურთიერთდაახლოების საჭიროებამ, ენის მცოდნე მთარგმნელთა კადრების ნაკლებობისა და, შესაბამისად, პწკარედიდან თარგმანების ამგვარობის პირობებში, თეორიულად მისაღებ ე. წ. თავისუფალ თარგმანს პრაქტიკულად უსამანო და ურევიზიო ასპარეზი შეუქმნა. ასეთ ვითარებაში, საქმეს ჰაიჰარად მოკიდებული ვინმე პოეტი-ტექნიკოსი შეიძლება პირველხარისხოვან მთარგმნელადაც დაჯდეს, მით უმეტეს, რომ ამაში საკავშირო არენაზე გასვლით მადლიერი, თანაც თარგმანში იქნებ კიდეც შეკეთებულ-შელამაზებული ავტორის დითირამბებიც უწყობს ხელს (ზოგჯერ მთელი თაობისა და ერის დითირამბებიც კი, რამეთუ ამ ავტორებს ხშირად თაობისა და ერის სახელით უყვართ ხოლმე ლაპარაკი). ყოველივე ამის გამო იყო, ერთი მეგობარი პოეტის გამოსვლა ტრიბუნაზე, თავის მთარგმნელს რომ უეჟინა — მე ჩემი მინდა, ჩემიო, მის პიროვნულ რეაქციადაც აღვიქვი და, ეტყობა, ჩვენში ბოლოს და ბოლოს გაჩენილ საიმედო ტენდენციადაც, როცა პოეტსა თუ პროზაიკოსს საკუთარი შემოქმედებითი თავმოყვარეობა და თავისი ლიტერატურისა და კულტურის პრესტიჟის გასაკუთრების გრძნობა გაჰღვიძებია... მხატვრული ნაწარმოების უკვდავ ღირებულებას, მისი „ობიექტური" პროფილის გარდა, ის სულიც ხომ ქმნის, თითქმის ქარაქტეროლოგიური მთლიანობით რომ იწვდომება ზოგჯერ ზუსტ, „ნედლ" თარგმანში. ესაა, ვთქვათ, ოცდახუთი საუკუნის წინათ მცხოვრები კონკრეტული ადამიანის სული. ესაა პლატონი, ავრელიუსი, ფსევდო-ლონგინე, პასკალი, ასე რელიეფურად რომ ჩანან და გვხიბლავენ ბ. ბრეგვაძის თარგმანებში. ესაა ქართული ზღაპრის მძინარე მზეთუნახავი, რომელიც თავისუფალ თარგმან-ინტერპრეტაციაში ძნელად თუ გაახელს თვალს. აბა, ჩვენი ინტერესებითაც შევხედოთ: ჩვენ ვაჟა, გალაკტიონი, ჩვენი ხალხური პოეზია გვინდა უცხო ენაზე და არა მავანი პატივცემული და პატივსაცემი პოეტის საკუთარი შემოქმედებითი სამყაროს კიდევ ერთი წახნაგი, გალაკტიონით იმპულსირებული და დაფერთიანებული. არის ხოლმე ლიტერატურის ისტორიაში ეტაპები, როცა უცხო ნაწარმოების „სათავისო", მშობლიური კულტურის ინტერესთა შესაბამისი იდეურ-მხატვრული ინტერპრეტაცია ხდება, მაგრამ ჩვენმა ლიტერატურამ კარგახანია უკან მოიტოვა ეს ეტაპები. და თუკი ზოგჯერ კვლავ გვხვდება თარგმანად გასაღებული და ჩვენი ლიტერატურული ენისათვის, პოეტური კულტურისათვის ჭეშმარიტად ფასეული ქმნილებანი, ამას თავისი სახელი უნდა დაერქვას, ხოლო ამ თითქოსდა ათვისებულ უცხო ლიტერატურულ სამყაროებს, თუკი მათი ნამდვილი, ობიექტური იერსახე გვაინტერესებს, ხელახალი თარგმნა სჭირდება.

4. ამ კითხვას, ნაწილობრივ, ზემოთ ვუპასუხე. მე პირადად „იქიდან აქეთ" თარგმანის გაძლიერება მიმაჩნია მთავარ ამოცანად, „აქედან იქით" თარგმანი კი რაოდენობრივად უნდა შემცირდეს და ხარისხობრივად ამაღლდეს.

სამშობლო მიწაზე ფეხმოკიდება და მყარად დადგომაა ძნელი, თორემ უცხო ენაზე ეფემერული პოპულარობა რა ბედენაა. აკი არაერთ ენაზეა თარგმნილი და ბლომადაც ნაქები ბევრი ჩვენი ისეთი პოეტი თუ პროზაიკოსი, რომელსაც ჯერ შინ [illegible] უმაგრებია წელი. ყველამ ვიცით და კანონზომიერიცაა, რომ ჩვენი ლიტერატურული პროდუქციის, ჰა და ჰა, ათი-თხუთმეტი პროცენტი თუ იქნება საექსპორტო ღირებულებისა, ითარგმნება კი თითქმის ყველაფერი... ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურის კულისებში ხომ გვაქვს ხოლმე მყარი კრიტერიუმები, ხომ არსებობს წიგნის მკითხველი თუ მყიდველი, ანდა საზოგადოებრივი აზრი (ოღონდ ეს „საზოგადოებრივი" არ არის ისე ფართო განზომილებისა, როგორც ზოგს ჰგონია). უნდა ითარგმნოს ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ და რაც კი დღეს იქმნება, რაც ღირსეულ ნაკადად შეერთვის ზოგადკაცობრიულ კულტურას და წილს დაიდებს მასში. აქაც ისევ ჩვენმა პირუთვნელმა კრიტიკამ უნდა თქვას სათქმელი.

5. რა მიმაჩნია აუცილებლ სათარგმნად? ძნელი არჩევანია. იმ ბეჩავი კაცისა არ იყოს, ერთი რაღაც რომ ინატრა და ათასი კი გვერდზე დარჩა, კი ვინატრებდი, ქართულად თარგმნილიყო „ძმები კარამაზოვები", თ. მანის „იოსები და ძმანი მისნი", პრუსტის „დაკარგული დროის ძიება", ანტიკური მწერლობის [illegible], ძველი რომაული პოეზია, დანტე, მონტენი, [illegible], ჰესეს, კაფკას რომანები, რაღა თქმა უნდა, ბიბლია...

6. [illegible] თარგმანები მუდამ [illegible] რჩებიან, მუდამ „მუშაობენ" და არც არასდროს იკარგებიან. მაგრამ თუკი ამ კარგ თარგმანს „თავისი" მთარგმნელი კვლავ გამოუჩნდება, ლიტერატურა მოიგებს მხოლოდ. მაგრამ ესეცაა: ამ ეტაპზე, როცა ჯერ ვეება ვაკუუმია შესავსები, იქნებ ძალთა რაციონალური განაწილება ჯობდეს და იმის თარგმნა, რაც საერთოდ არ გვითარგმნია, ანდა იმისა, რაც დედანში შედევრად ითვლება, ჩვენ კი მოძულებული გვიძევს თაროზე.

## ვახუშტი კოტეტიშვილი:

მთარგმნელობაში ბოლო წლების უმთავრეს მიღწევად მიმაჩნია მთარგმნელთა პროფესიონალიზმის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც თარგმანების საერთო მხატვრული დონის ამაღლებაში მჟღავნდება. თუ არ ვცდები, მე მგონი, მიხვდა ჩვენი საზოგადოებრიობა, რომ მხატვრული თარგმანი ხელოვნებაა და არა ხელმოცარულ ლიტერატორთა თუ მოცლილ დიასახლისთა სარფიანი ხელობა. თუ ნამდვილი შემოქმედი არა ხარ, კარგი მთარგმნელი ვერ გახდები. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც მტკიცება არ უნდა. ამასთანავე, მთარგმნელს, გარდა ნიჭისა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს უტყუარი ფილოლოგიური ალღო და საფუძვლიანი ცოდნაც. იგი, თუ საჭიროება მოითხოვს, ტექსტოლოგიც უნდა იყოს, ლექსიკოლოგიც, სემანტიკოსიც და სხვა მრავალი... ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელია, განსაკუთრებით, ძველი და შუა საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლთა თარგმნა. ვფიქრობ, არც ეს დებულება საჭიროებს დამამტკიცებელ საბუთთა სიუხვეს. მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭისა და ფილოლოგიური ცოდნის შერწყმა მოგვცემს კარგ მთარგმნელს. ეს იშვიათი გამონაკლისიაო, შეიძლება შემომედავოს ვინმე. მართალი ბრძანდებით. ამიტომაც მსოფლიოში გაცილებით მეტნი არიან კარგი პოეტები და მწერლები, ვიდრე კარგი მთარგმნელები.

მთარგმნელობა, ამასთანავე, სხვა ნიჭია. შენი ინდივიდუალობის სრული დაოკება და სხვისი სახის მიღება, ყოველ ავტორთან შეხებისას სხვად გარდასახვა, თუ დამერწმუნებით, არ არის იოლი საქმე. ზოგი მთარგმნელი, პირიქით, ცდილობს, რომ თავისი ხასიათი, ბუნება, სტილი არ დაკარგოს და მაქსიმალურად გამოავლინოს თარგმანებში. სწორედ აქ იწყება მისი მარცხი, ვინაიდან ყველა თარგმანი ერთფეროვანი გამოუდის და, მაშასადამე, ყალბიც. მთარგმნელის სახე ყველაზე უკეთ მის თვითგაუსახურებაში ვლინდება. ეს პარადოქსი არ გახლავთ. როგორც მსახიობი იღებს ყოველი როლის შესრულებისას ახალ-ახალ სახეებს, ასევე მთარგმნელიც სხვა კაცად უნდა იქცეს ყოველი ახალი ავტორის წარმოდგენისას. აქ გამომჟღავნდება მისი ნიჭიც და ინდივიდუალობაც.

მთარგმნელობა დიდებული მისიაა. იყო სხვადასხვაენოვან სამყაროთა შუამავალი, იტვირთო უცხო ენის ხატოვანი სისტემის შენს ენაზე ამეტყველება, შეძლო მშობლიური ლიტერატურის გამდიდრება ახალ-ახალი შენაკადებით, უაღრესად საპატიო, რთული და პასუხსაგები მოვალეობაა.

ვფიქრობ, ჩვენი მთარგმნელობითი ლაშქრის მეწინავე რაზმში იმატა ამგვარი სულისკვეთებით განმსჭვალულმა ხალხმა და სწორედ ეს მიმაჩნია უმთავრეს მიღწევად.

ეს, რასაკვირველია, სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენს ამჟამინდელ მთარგმნელობით ლიტერატურაში იდეალური მდგომარეობა სუფევდეს. სამწუხაროდ კვლავაც ითარგმნება ბევრი უღიმღამო, არაფრისმთქმელი ნაწარმოები, რომელიც არც თავის ქვეყანაში წარმოადგენს რაიმე ღირებულს და არც ჩვენი ლიტერატურისათვის იქცევა შენაძენად. მაგრამ მათი ბეჭდვა რატომღაც უფრო იოლად ხერხდება, ვიდრე ჭეშმარიტი ლიტერატურის თარგმანებისა, რომელნიც წლობით ამძიმებენ რედაქციათა თაროებს. ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო. ალბათ ამ საქმესაც მალე მოევლება.

დედნისადმი ერთგული თუ თავისუფალი დამოკიდებულება, ძირითადად, პოეტური თარგმანის პრობლემა გახლავთ. ლექსთწყობის თავისებურებანი, სალექსო საზომი, რითმის აუცილებლობა, გარითმვის სპეციფიკა, სტროფიკა და სხვა მისთანანი უფრო მეტად ზღუდავენ პოეტური ნაწარმოების მთარგმნელს, ვიდრე პროზაულისას. ამას ერთვის ენათა განსხვავებული სტრუქტურა და, რაც მთავარია, ხატოვანი სისტემათა შორის არსებული სხვაობა. ხატოვანი აზროვნების თავისებურებას განაპირობებს ეროვნული ენა, ეროვნული ფსიქიკა და სხვა ფაქტორები. ის, რაც მნიშვნელოვან ესთეტიკურ ფენომენს წარმოადგენს ერთი პოეტური სისტემისათვის, მეორისთვის, შესაძლოა, არა მხოლოდ არაფრისმთქმელი, არამედ ანტიესთეტიკურიც კი იყოს. მაგალითად, არაბულ კლასიკურ პოეზიაში „სატრფოს ნერწყვის დალევა" თითქმის ყველა პოეტის სანუკვარი ოცნება იყო. სპარსულმა, თურქულმა და შუა საუკუნეების ინდურმა პოეზიამ, მიუხედავად არაბულენოვან სამყაროსთან უაღრესად მჭიდრო კონტაქტისა, ვერ და არ შეითვისა ისეთი პოეტური ხატები, რომლებიც მათი ესთეტიკური მრწამსისათვის უცხო იყო და მიუღებელი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თარგმნა კალკირება არ არის. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მე თუ უცხოელი პოეტის ნაწარმოებით შთაგონებულმა ოდნავ მისი მსგავსი ლექსი დავწერე, მას თარგმანი არ დაერქმევა.

ცნობილია ასეთი შეხედულება: რამდენადაც უფრო ზუსტად, სიტყვა-სიტყვით თარგმნით პოეტურ ტექსტს, იგი იმდენად დაშორდება ორიგინალის პოეტურ არსს, მის ესთეტიკურ ღირებულებას. ტრაფარეტად იქცა თარგმანის ქალთან შედარებაც: რაც უფრო ერთგულია, ნაკლებ ლამაზია, და პირიქით. ამას თავისუფლების მომხრენი ქადაგებენ. „ერთგულების" დამცველნი კი აცხადებენ: თუ ლექსის ზუსტად თარგმნა ლექსადვე არ ხერხდება, მოგვეცით ზუსტი პროზაული თარგმანი და ჩვენ თვითონვე წარმოვიდგენთ მის პოეტურ ვარიანტსო. და მართლაც, ევროპაში ბევრი ლექსი თუ პოემა ითარგმნა და გამოიცა ასეთი ფორმით, მაგრამ არცერთ მათგანს არ ღირსებია ისეთი აღიარება, როგორიც ერგო, მაგალითად, ომარ ხაიამის რობაიების ფიცჯერალდისეულ თარგმანებს; თუმცა ეს თარგმანი არც კი იყო დღევანდელი გაგებით, არამედ უფრო თავისუფალი ვარიაციები ომარ ხაიამის თემებზე, მაგრამ ეს პოეზია იყო.

ამდენი რამ დაწერილა თარგმანის თეორიის საკითხებზე, მაგრამ განა არსებობს მზა რეცეპტი, როგორ უნდა ითარგმნოს ესა თუ ის ლექსი?! არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ამგვარი ინსტრუქციები თვით ორიგინალური პოეზიისათვის.

ყოველი ლექსი (მე, რასაკვირველია, კარგ ლექსს ვგულისხმობ, თორემ ცუდი, არამც თუ არ უნდა ითარგმნებოდეს, არც უნდა იწერებოდეს) წარმოადგენს ახალ სასწაულს, რომელსაც თავისი „ჯადო" აქვს. სწორედ ამ „ჯადოს" უნდა ამოცნობა და იმ სამყაროდან ამ სამყაროში გადმოტანა, თუ არა და მარტოოდენ სიტყვების თარგმნა არაფერს მოგვცემს. მთარგმნელმა, უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა შეძლოს. უნდა იგრძნოს და გაარკვიოს რა არის სათარგმნელ ლექსში მთავარი და არსებითი და ის თარგმნოს ზუსტად, ადექვატურად. აზრი? განწყობილება? ინტონაცია? მუსიკალობა?.. მე იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ლექსში აზრი ცალკე იყოს, განწყობილება ცალკე და ა. შ. რასაკვირველია, არა! მაგრამ მათგან რომელია ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი და წარმმართველი საშუალება? პუშკინის ბრწყინვალე ლირიკულ ლექსში **„Я вас любил"** ...არ გვხვდება თითქმის არც ერთი მეტაფორა, მეტონიმიის არცერთი ხერხი, მისი მხატვრულობა პოეტიკური „არსენალის" გამოყენების თვალსაზრისით უდრის ნოლს. მაგრამ ლირიკის შედევრს წარმოადგენს. რატომ? იმიტომ, რომ „ჯადო" აქვს. ეს ჯადო უნაზესი, ამაღლებული განცდების გენიალური სისადავით გადმოცემაშია. თუ მთარგმნელი შეძლებს ასე ამეტყველებას, მისი უკეთილშობილესი ამოცანა შესრულებული იქნება. ეს შეძლო ლერმონტოვმა, როდესაც გოეთეს მინიატურული ლექსი თარგმნა საკმაოდ თავისუფლად, მაგრამ კონგენიალურად. ასევე თარგმნა შექსპირი ივანე მაჩაბელმა და „ვისრამიანი" ჩვენმა დიდმა წინაპარმა.

როგორ უნდა ითარგმნოს გალაკტიონის „დოვინ, დოვენ, დოვლი?"

ანდა ავიღოთ ანა კალანდაძის „თქვი, არჯაკელო მხვიარა". რა არის ამ ლექსში ნათქვამი? — თითქოს არაფერი, მართლაც არაფერი, მაგრამ ამავე დროს, უაღრესად ბევრი. როგორ? არ ვიცი. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს არის დიდებული ლირიკული ლექსი. და მას თავისი განუმეორებელი „ჯადო" აქვს, რომელიც უჩვეულო ინტიმურ ინტონაციაში მჟღავნდება. აქ განწყობილებას სწორედ ინტონაცია ქმნის. ამ ლექსის სხვა ენაზე მთარგმნელი ამის შენარჩუნებას თუ ვერ შეძლებს, უმჯობესია, საერთოდ, არ თარგმნოს.

რომელი ნაწარმოებების თარგმნა მიმაჩნია გადაუდებელ საქმედ? რომელი ერთი ჩამოვთვალო? განა ჩვენ იმდენად ვართ განებივრებულნი კარგ თარგმანთა სიუხვით, რომ შეგვიძლია ვთქვათ, აი, თურმე მავანი ნაწარმოები არ გვქონია ნათარგმნი და ეს როგორ დაგვემართაო?

სათარგმნელია ზღვა მასალა, მთავარია, მთარგმნელი მოიძებნოს. აქ ვეღარ მართლდება ანდაზა: თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვაო. „თაფლი" არის, „ბუზები" კი — ცოტანი. თაფლმა და ბუზმა მეორე ანდაზაც გამახსენა: ბევრი ბუზი ბზუისო, — ფუტკართან ყველა ტყუისო. უმჯობესია თავი შევიკავო, თორემ მე თუ ხალხურ შემოქმედებაზე გადავედი, ვეღარავინ გამაჩერებს.

იმას მოგახსენებდით — ბევრი, ძალზე ბევრი რამ არის გასაკეთებელი როგორც პოეტური, ასევე პროზაული თარგმანის სფეროში. მაგრამ განსაკუთრებით მაინც ერთი რეგიონი მინდა გამოვყო. ეს გახლავთ ესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტური ლიტერატურა, რომლის თარგმანებიც ჩვენ თითქმის არა გვაქვს და უაღრესად კი გვჭირდება! ამ ათიოდე წლის წინ მე გადავწყვიტე შემედგინა ორტომეული. მთარგმნელებსაც მოველაპარაკე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოსაც“, საქმეც თითქოს დაიძრა. შემდეგ შეიქმნა მთარგმნელთა კოლეგია და ეს საქმეც მას გადაეცა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იქ უკვე დიდძალი მასალაა დაგროვილი. კარგი იქნება, თუ ჩვენი მკითხველი უახლოეს დროში მიიღებს ამ თარგმანებს მრავალტომეულის სახით.

აქვე გულისტკივილით მინდა შევნიშნო ერთი სავალალო გარემოება. ზოგჯერ ხელთა გვაქვს უაღრესად საჭირო და საინტერესო თხზულების თარგმანი (კარგად შესრულებული!), მაგრამ რატომღაც ვერ ხერხდება მისი გამოცემა. მოგახსენებთ რამდენიმე მაგალითს: შუა საუკუნეების არაბული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლების ალ-ღაზალისა და იბნ რუშდის (ავეროესის) თხზულებათა თარგმანს ინატრებდა ბევრი ცივილიზებული ერი. ქართულად გვაქვს შესანიშნავი თარგმანი, კომენტარებითა და გამოკვლევითურთ, შესრულებული ორიგინალიდან ჩვენი უნივერსიტეტის დოცენტ ნანა კილაძის მიერ. გადის წლები და გამოცემა ვერ ხერხდება.

ცნობილ მეცნიერსა და მთარგმნელს, საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ მზია ანდრონიკაშვილს უაღრესად საინტერესოდ აქვს თარგმნილი უდიდესი ინდური ეპოსის „მაჰაბჰარატას“ ცალკეული წიგნები. ვერც მათი დაბეჭდვა მოხერხდა აქამდე.

იგივე ითქმის ნაირა გელაშვილის მიერ ნათარგმნ რილკეს „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერების“ და სხვათა და სხვათა შესახებ...,

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ასეთი მთარგმნელები მართლაც საქმით არიან დაკავებულნი და დრო აღარ რჩებათ რედაქციებსა და გამომცემლობებში სარბენად. ისინი კარს არავის „უტალახებენ“ გაუთავებელი ვიზიტებით, თავს არავის აბეზრებენ თხოვნა-მუქარით, ვინაიდან მათ, გარდა საქმისა, თავმოყვარეობაც აქვთ. თანდათანობით ეგუებიან იმ აზრს, რომ მათი მრავალწლიანი შრომის, უძილო ღამეებისა და შემოქმედებითი წვის ნაყოფი, შესაძლოა კიდევ დიდხანს ვერ ეღირსოს სამზეოზე გამოტანას.

ჩვენს რედაქციებში ხშირად ისეთ ფრაზებს გაიგონებთ, რომ გაგიკვირდებათ. პიესის დაბეჭდვა გამორიცხულია, ვინაიდან დიდ ადგილს იჭერსო. გარდა ამისა, ეს, თუნდაც დიდებული პიესის კარგი თარგმანი რომ დავბეჭდო, მერე სადღა წავუვალ სხვა მთარგმნელებს, რომლებიც ცუდი პიესების ცუდ თარგმანებს მომიტანენო?! პოემის დაბეჭდვაზედაც უარს მიიღებთ — მთელი ჰონორარი ამას მოუნდებაო. ზოგი კლასიკური პოეზიის თარგმანებზე ამბობს უარს, ეს ჩვენს მკითხველს ახალს რას მისცემს, თანამედროვე ლიტერატურის თარგმანები უნდა მივაწოდოთო, და ისეთ მდარე ნიმუშებს ბეჭდავს, რომ ინანებ, რატომ ხარ ამ ავტორისა თუ მთარგმნელის თანამედროვე.

მე ვფიქრობ, თვით გამომცემლობები და რედაქციები უნდა ეძებდნენ და იკრებდნენ კარგ მთარგმნელებს; სთხოვდნენ, ავალებდნენ, აიძულებდნენ კიდეც (კარგი გაგებით), რომ მიაწოდონ უმაღლესი ხარისხის ლიტერატურა და არა სიტყვიერი ჯართი.

მწერლობა ერის წმიდათაწმიდა სახატეა და მისი შებილწვა ანგარებით არავის ეპატიება.

მგონი გავცხარდი, რაც სრულიად არ შეესაბამება ანკეტის სტილს. მაგრამ რას ვიზამთ?! მარტო ურთიერთ ტაშ-ფანდურით საქმე არ გაკეთდება..

რას ვთვლი ხელახლა სათარგმნელად? ყველაფერს, თუკი შესაძლოა მათი უკეთესად თარგმნა. ეს სრულიადაც არ მიმაჩნია იმ დიდ ადამიანთა შეურაცხყოფად, ვინც ჩვენს მთარგმნელობით მწერლობას განუზომელი ღვაწლი დასდეს. ახალი თაობა ახლებურად კითხულობს ყოველ დიდ ნაწარმოებს. სწორედ ეს არის ნამდვილი შემოქმედების უკვდავება.

მისაწვდომი რუსულიდანაც კი. ასე, მაგალითად, დოსტოევსკის რომანი „ძმები კარამაზოვები“, ბუნინის „არსენევის ცხოვრება“.

6. ჩემი აზრით ამა თუ იმ ნაწარმოების ხელახლა თარგმნა არასოდეს არ უნდა იყოს მოსარიდებელი. გავიხსენოთ თუნდაც ავალიშვილის მიერ თარგმნილი „დონ-კიხოტი“, არაერთი თაობა გაიზარდა ამ ნაწარმოებზე, შეითვისა და შეისისხლხორცა იგი. თავის დროზე ავალიშვილმა „დონ-კიხოტი“ რუსულიდან თარგმნა, ხოლო რუსებს თავის მხრივ ეს უბადლო ნაწარმოები ფრანგულიდან ჰქონდათ თარგმნილი. ჩვენს დროში ბატონმა ნიკა აგიაშვილმა გაუკეთა რედაქცია ამ თარგმანს, მაგრამ მისი დედანთან შეჯერება და ზოგიერთი პასაჟის დაზუსტება თუ ერთგვარი „გათანადროულება“ უთუოდ საშური საქმეა.

ხელახლა სათარგმნელი, რა თქმა უნდა, ბევრია, თუნდაც, ჰაინრიხ ჰაინეს შემოქმედება, გოეთეს „ფაუსტი“, ლირიკა, პუშკინის ლექსები, ლერმონტოვის პოეტური ნაწარმოებები, გერმანული ეპოსი „სიმღერა ნიბელუნგებზე“ და ფრანგული ეპოსი „სიმღერა როლანდზე“, ინდური ეპოსი „რამაიანა“ და სხვა და სხვა.

## ოთარ ნოდია:

1. ბოლო ხანებში თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქართულ ლიტერატურაში თითქმის ერთდროულად მოვიდა ახალგაზრდა ნიჭიერ მთარგმნელთა მთელი პლეადა. პროფესიონალი მთარგმნელების გამოჩენას თან დაერთო ისიც, რომ თარგმანის ხელოვნებით მწერალთა შედარებით ფართო წრე, ბევრი გამოჩენილი შემოქმედი დაინტერესდა. ჩვენს დროში, ნათლად გამოიკვეთა თარგმანის მაღალი სახელმწიფოებრივი ასპექტები. თავისთავად ამის დადასტურებაა საქართველოს მწერალთა კავშირთან მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის დაარსებაც.

ასევე, ბოლო წლების მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია ის გარემოება, რომ მხატვრული თარგმანი აღიარებულია მაღალი შემოქმედების სფეროდ: სინამდვილეში, პრაქტიკულად ხდება მხატვრული გემოვნების, ნიჭის აქცენტირება, გამორჩევა. ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მთარგმნელებთან საკონსულტაციო, შემოქმედებით — სასემინარო და ინდივიდუალურ მუშაობას.

2. პირველ რიგში თარგმანი არ უნდა იყოს „თავისუფალი“ შემოქმედებისაგან, ე. ი. ორიგინალის ავტორისა და მთარგმნელის შემოქმედებითი თანამშრომლობით უნდა შეიქმნას ახალი თარგმნითი მხატვრული ნაწარმოები. ამავე დროს, არ უნდა დაიკარგოს ცნების — „თარგმანი“ — შინაარსი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მთარგმნელი მხატვრული თარგმნითი ნაწარმოების საწყისად აუცილებლად ორიგინალს მიიჩნევს: მთარგმნელმა, სადაც კი ეს შესაძლებელია, უნდა გადმოსცეს შინაარსი ზუსტად, ადექვატური მხატვრული ფორმით.

3. რედაქციის მიერ დასმული პირველი საკითხიდან უშუალოდ გამომდინარეობს მესამე კითხვაც — მთარგმნელობითი ლიტერატურის ქართულად გამოცემის საქმეში „შემოქმედებითი წესრიგის“ შესახებ.

ნაწილობრივ ამ კითხვას უკვე ვუპასუხე, მაინც არ იქნება ზედმეტი, თუ შევეხებით სტიქიურობის საკითხს. გასაგებია, რომ პირადი, კერძო ინიციატივა მწერლისა თუ მთარგმნელის მხრიდან არ ნიშნავს სტიქიურობას, გარკვეული აზრით, სუბიექტური მომენტი შემოქმედებაში უმთავრესიც კია. სტიქიურობა — განუკითხაობაა: როცა სათარგმნი მასალა არ არის შერჩეული მისი იდეურ-ესთეტიკური ღირებულების მიხედვით, ქართული ლიტერატურის ეროვნულ-საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა შესაბამისად და თარგმანიც, მოკლებულია პროფესიონალიზმსა და მხატვრულობას, მაშინ იგი მხატვრული ლიტერატურის მიღმა რჩება. ამავე დროს სტიქიურობა უხარისხო თარგმანის ერთი და ორი შემთხვევის აღმნიშვნელი ცნება არაა. ეს უკვე შეიძლება ითქვას, მთელი მღვრიე ნაკადია, რაც არც ისე დიდი ხნის წინათ მართლაც საგრძნობი გახლდათ ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. ჩვენ სწორედ უნდა გავაანალიზოთ უახლოესი წარსულის ფაქტები. შეიძლება, ერთი შეხედვით, ყოველივე გასაგებია. მაგრამ ჩავუკვირდეთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოზიციებს, ზოგჯერ მთავარ სარედაქციო კოლეგიას მიუთითებენ, რომ იგი თავის მუშაობაში ძირითადად უნდა ახორციელებდეს საკონტროლო ფუნქციებს, ამოწმებდეს ხარისხს, გამოქონდეს ეს საკითხები საჯარო მსჯელობისათვის და სხვა. ამ შემთხვევაში უგულვებელყოფილია პოზიტიური მოღვაწეობის ფაქტორი, ე. ი. არსებითად საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ნეგატიურის ფიქსირებით უნდა შემოიფარგლებოდეს, ეს, რა თქმა უნდა, მცდარი აზრია, უფრო მეტიც, დადებითი, პოზიტიური მოღვაწეობის გარეშე ნებისმიერი მაღალი საქმე განწირულია — მარტოოდენ კამათი ან კონტროლი და ინსპექტირება გადავა სულ სხვა, შეიძლება ითქვას, უსაფუძვლო, უსაგნო დავაში. ყველგან და განსაკუთრებით შემოქმედებით სფეროში არაფერი არ არის ისეთი ძლიერი, შთამბეჭდავი და ყოვლისშემძლე, როგორც მაღალი შემოქმედებითი პრაქტიკა.

კოლეგიას ე. წ. „კრიტიკული“ მხარე მუშაობისა ჯერჯერობით არ შეუსუსტებია. ჩვენ მწერალთა კავშირთან და რესპუბლიკის გამომცემლობებთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობა გავწიეთ მხატვრული თარგმანების რეცენზირების, მათი აპრობაციისა და შეფასების თვალსაზრისითაც.

მთარგმნელობითი შემოქმედების სფეროში სწორი ორიენტაციისათვის, მაღალი შემოქმედებითი შესაძლებლობების მქონე მწერალ-მთარგმნელების წახალისებისა და სტიმულირებისათვის, ახალგაზრდა მთარგმნელებთან შემოქმედებითი-სასემინარო თუ ინდივიდუალური მუშაობისათვის აუცილებელია კოლეგიას გააჩნდეს პოზიტიური მოღვაწეობისათვის საჭირო პირობები — საგამომცემლო საშუალებები, გასამრავლებელი აპარატურა და სხვა.

4. თუ როგორ უნდა წყდებოდეს ქართული მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების სხვა ხალხთა ენებზე თარგმანის საკითხი, ეტყობა, ეს კითხვა უპირატესად სათარგმნელი ლიტერატურის შერჩევასა და თარგმანის ორგანიზაციულ მხარეს ეხება. ეს პრობლემა თავისთავად მრავალმხრივია. ამ საქმეში მთავარ სარედაქციო კოლეგიას გადადგმული აქვს პირველი ნაბიჯები. შექმნილია სპეციალური ქართული სათარგმნი ლიტერატურის საკოორდინაციო კომისია, რომლის პირველი სხდომები უკვე ჩატარდა. კომისიის წევრები არიან ჩვენი ლიტერატურული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები. პრაქტიკულად კომისიის ცალკეული რეკომენდაციების, დავალებების შესრულებაზე მუშაობს კოლეგიის მხატვრული თარგმანის კოორდინაციის რედაქცია, რომელიც თავის მხრივ ცალკეული შედგენებისა, შერჩევებისათვის თუ სხვა საჭირო ლიტერატურული საქმიანობისათვის მოიზიდავს რესპუბლიკის მწერლებს თუ მეცნიერებს. ამჟამად მზადდება ქართული სათარგმნი ლიტერატურის ერთიანი სარეკომენდაციო გეგმა-პროსპექტი.

ეს ამ დიდი საქმის ერთი მხარეა. ჩვენს სინამდვილეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართულ ნაწარმოებთა რუსულ და მოძმე ერების ენებზე თარგმნა, რაც თავისთავად დიდად შეუწყობს ხელს ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა პოპულარიზაციას. მთავარ სარედაქციო კოლეგიას, ამ მხრივ, აუცილებელ საქმედ მიაჩნია ქართული ლიტერატურის მაღალპროფესიულ და მაღალნიჭიერ შემოქმედთა აქტივის შემოკრება რუს და მოძმე ერების ლიტერატურული ძალებიდან.

5. ცივილიზებულ ერს აუცილებლად თარგმნილი უნდა ჰქონდეს ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, მითუმეტეს, როცა ეს ნაწარმოებები მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ორგანულ შემადგენელ რგოლს წარმოადგენენ. კოლეგიაში ასეთი ნაწარმოებების მთელი პერსპექტიული გეგმაა შედგენილი. ქართულად არ არის თარგმნილი მრავალი შედევრი არა თუ ჩინური, ინდური, იაპონური და სხვა ლიტერატურებიდან, არამედ ვთქვათ, ჩვენთვის შედარებით ადვილად

## რედაქციისაგან:

საკითხები, რომელთა ირგვლივ მსჯელობასაც რედაქცია მთარგმნელებს (და მათთან ერთად ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას) სთავაზობდა, ცხადია, ახალი არ არის. სათარგმნი ნაწარმოების იმგვარად შერჩევა, რომ გამდიდრდეს ჩვენი ეროვნული ლიტერატურა, დედნისადმი ერთგულება თუ „თავისუფალი თარგმანი“, თარგმნის საქმეში ლიტერატურული წესრიგის დამყარება, ძველი პრობლემებია და ალბათ იმ ხნიდან არსებობს, რაც ჩაისახა და განვითარდა თარგმანი, როგორც მხატვრული შემოქმედების დარგი.

ალბათ მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, რომ დღეს, როცა თარგმანი გასცილდა წმინდა ლიტერატურულ საზღვრებს და ხალხთა ურთიერთდაახლოებისა და კულტურული კავშირის მძლავრ საშუალებად იქცა, როცა ყოველწლიურად ითარგმნება და გამოიცემა ასობით წიგნი, თარგმანის მხატვრულ და ლიტერატურულ დონეზე, სათარგმნი ნაწარმოების გონივრულად შერჩევასა და გამოცემაზე ზრუნვა დიდი კულტურული და, თუ გნებავთ, სახელმწიფოებრივი საქმეა.

როგორც დისკუსიისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში ვწერდით, ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა მთარგმნელობითი საქმიანობის გაფართოებისა და განვითარებისათვის. ამ საქმეშიც საგრძნობი ძვრები მოხდა (ამას დისკუსიის ყველა მონაწილეც აღიარებს); მაგრამ იდეალური მდგომარეობისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ, ჯერ კიდევ მრავლად ითარგმნება შემთხვევითი ნაწარმოებები, ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს მდარე თარგმანს, —მსოფლიო ლიტერატურის ქართული ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ უაღრესად ღარიბია, ჯერ კიდევ ბევრი რამაა დამოკიდებული სათარგმნი ნაწარმოების ავტორის „ინიციატივასა“ და მოხერხებაზე.

ანკეტის მონაწილენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ სტიქიურობასა და თვითდინებას მხატვრული ლიტერატურის თარგმნის საქმეში ბოლო მოეღო... ეს ნაწილობრივ ასეც არის. ადრინდელი სტიქიურობა მართლაც აღარ შეიმჩნევა. გამომცემლობებს უკვე მრავალწლიანი პერსპექტიული გეგმები აქვთ და მუშაობა იმ გეგმების მიხედვით მიმდინარეობს.., ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ოთხმოცტომეულის გამოცემა — ჩვენს ლიტერატურას შეემატა ბევრი მნიშვნელოვანი წიგნი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან... ამასთან, ოთხმოცტომეული მხოლოდ I სერიაა ამ ბიბლიოთეკისა და მისი დასრულების შემდეგ ახალი სერიების გამოცემა გაგრძელდება... ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაკეთდა ბოლო წლებში, მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს ისეთი ოპტიმიზმის საფუძველი გვქონდეს, რაც ზოგიერთ პასუხში იგრძნობა.

ანკეტის მონაწილენი განსაკუთრებით ახალგაზრდა, ენის მცოდნე მთარგმნელთა გამოვლენისა და აღზრდის პრობლემაზე შეჩერდნენ. კვლავ გამოითქვა ძველთაძველი, მაგრამ სადღეისოდაც უაღრესად აუცილებელი მოთხოვნა, რომ ნაწარმოები ორიგინალიდან ითარგმნოს, რომ მთარგმნელთა აღზრდის საქმეს გამიზნული და სისტემატური ხასიათი მიეცეს.

არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ანკეტის მონაწილეთა აზრი, რომელიც მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და ჩვენი გამომცემლობების საქმიანობას უკავშირდება. ბოლოს და ბოლოს კოლეგიის შექმნაც, ახალი თარგმანების თუ სერიების დაარსებაც ერთ მთავარ მიზანს ემსახურება — დროულად გამოიცეს მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები. და თუ თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის საქმიანობა მხოლოდ თარგმნის ორგანიზაციით შემოიფარგლება, თუ ამ კოლეგიას თარგმნილ ნაწარმოებთა უფრო ფართოდ გამოცემასაც არ დავავალებთ, კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობა ცალხმრივი გამოდგება.

კოლეგია ადგენს იმ ნაწარმოებთა სიებს, რომლებიც ქართულად და ქართულიდან სხვა ენებზე უნდა ითარგმნოს, განზრახული აქვთ დაწესდეს რამდენიმე თემატური და ჟანრობრივი სერია... კოლეგიას ყოველმხრივი მხარდაჭერა აქვს, არ აკლია საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყურადღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ე. წ. „მოსამზადებელი პერიოდი“ მეტისმეტად ჭიანურდება, ჩვენი საზოგადოება კი უკვე კონკრეტულ შედეგს, კარგად თარგმნილ და ასევე კარგად გამოცემულ წიგნებს მოითხოვს.

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ანკეტის მონაწილეებს, როცა ისინი აღნიშნავენ, რომ მთარგმნელობითი საქმიანობის არც იმგვარი გააქტიურება ვარგა, როცა ყველაფერი ხელაღებით ითარგმნება, ქართულიდან სხვა ენებზე უნდა ვთარგმნოთ მხოლოდ ის, რაც ეროვნული ლიტერატურის შენაძენია. ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზე როდია, არც თუ იშვიათად ქართულიდან ითარგმნება ისეთი წიგნები, რომლებიც იქნებ ქართულადაც არ იმსახურებდნენ გამოცემას, ამავე დროს კი ჩვენი ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოების პწკარედიც კი არ შეგვისრულებია...

ანკეტის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა ჩვენი ყურადღება მიაქცია თარგმანის კრიტიკის მდგომარეობას, თუმცა ანკეტის კითხვები სამწუხაროდ საქმის ამ მხარეს არ ითვალისწინებდა. გამოითქვა აზრი, რომ ჩვენს კრიტიკას შემუშავებული არა აქვს თარგმანის შეფასების კრიტერიუმები, რომ თარგმანის შემფასებელთა წინაშე საერთოდ არ დგას დედნისადმი ერთგულების პრობლემა, არავინ მსჯელობს ნაწარმოების სტილურ ბუნებაზე, იმაზე, თუ როგორ არის თარგმანში შენარჩუნებული ორიგინალის მხატვრული თავისებურება, მწერლის სამყარო. არავინ ცდილობს გაარკვიოს, როგორ გადმოსცა მთარგმნელმა დედნის არა მარტო შინაარსი, არამედ შინაარსისა და ფორმის ერთიანობა.

სამწუხაროდ, თარგმანის კრიტიკა ჩვენში ხშირად აშკარად ტენდენციურია და საქმეს არ ეხმარება. ხშირად ვივიწყებთ იმას, რომ თარგმანის კრიტიკა განსაკუთრებულ ცოდნასთან ერთად განსაკუთრებულ კეთილსინდისიერებასაც მოითხოვს, რამდენადაც თარგმანის სიზუსტის კრიტერიუმი ძნელი დასადგენია; „თარგმანის შეფასების უნივერსალური კრიტერიუმი არ არსებობს და ამიტომ ყველას თავისებურად ესმის დედნისა და თარგმანის ეს „შესაბამისობა“, წერს ანკეტის ერთ-ერთი მონაწილე. სწორედ ამიტომ მთარგმნელზე არანაკლები სიფრთხილით უნდა შერჩევა თარგმანის კრიტიკოსს. იმავე პასუხში, სხვათა შორის, კარგად იყო ნათქვამი: შეიძლება ერთი და იგივე ნაწარმოების ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე თარგმანი არსებობდეს და ყველა თავისებურად საინტერესო და კარგი იყოსო (მაგალითად მოტანილია ბოლო ხანებში რუსულად სამი გამოჩენილი მწერლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“).

ამასთან, გაუმართლებელია დუმილი, როდესაც რომელიმე ჩვენი გამოჩენილი მწერალი სხვა ენაზე ზედმეტად თვითნებურად ითარგმნება, როცა ცნობილი პოეტი თარგმნილ ნაწარმოებს ისე წარმოგვიდგენს, რომ მასში ორიგინალისა არც საერთო იდეაა, არც შინაარსი და მხატვრული ფორმა. მადლობა უნდა ვუთხრათ იმ პოეტებს, რომლებიც სიყვარულით თარგმნიან ჩვენს კლასიკურ, თანამედროვე თუ ხალხურ პოეზიას... მაგრამ ეს არ უნდა გვიშლიდეს ხელს, მივუთითოთ ორიგინალისადმი მეტისმეტად თავისუფალ დამოკიდებულებაზე. რაც არ უნდა დიდი პოეტი იყოს მთარგმნელი, ორიგინალის მიმართ სათუთი დამოკიდებულება მაინც მოეთხოვება; დიდ მუსიკალურ ნაწარმოებს, შეიძლება განსხვავებული ინტერპრეტატორ-შემსრულებლები ჰყავდეს, მაგრამ, ბუნებრივია, ყველას მოეთხოვება ორიგინალის არსისა და მომხიბლაობის გადმოცემა.

დამაფიქრებელი მდგომარეობა წარმოგვიდგინა ანკეტის [illegible]

# „შენი ჰალი მაქვს, ბაღდადის ზეცავ...“

## მიხეილ ანდრეევი

ტომსკი

● ●

საავადმყოფოს საბანქვეშ ვწევარ,
ვცახცახებ.
გვერდით დუღდება შპრიცი.
აკრძალული გვაქვს ადგომა ყველას
და შრება ყელი ბოღმით და სიცხით.

ჩემს წინ წითელი ძახველი ფეთქავს
და ორი მგზავრი მიჰყვება კორომს.
მაგრამ ვერასდროს ვერ წავლენ ჩემგან,
რადგან ორივე სურათში ცხოვრობს.

რომ იზრდებოდეს ოთახში ხე და
კვლავ მიდიოდეს. ვინც აღარ მოდის —
დაავიწყდება პალატის სევდას
ერთი ნამდვილი პატარა ტოტიც.

მსურს თევზაობა.
თავისკენ მიწვევს
მწვანე ტყეების შრიალა დროშა.
... ო, აქვს სიცოცხლეს ლამაზი მიჯნა,
რომელიც მხოლოდ ფანჯრიდან მოჩანს.

თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ

## ალა ნემილოვა

მოსკოვი

### ნაცრისფერი ძაღლი

სახლს მიადგა ნაცრისფერი ძაღლი,
ულოკავდა სახელურს და კედელს,
მის ყმუილში გაარკვევდი ძახილს:
შინ შემიშვით, და უბრალოდ, შენდეთ!

ვერ გაექცა სიცივეს და შიმშილს,
თავშესაფარს ვერ მიაგნო ვერსად,
აპირებდა უხმო, ძაღლურ სიკვდილს
და ყმუილი ჰგავდა კაცურ კვნესას.

ქვის ფილაქანს დაყრდნობოდა მძიმედ
და თვალებში წყვილი ცრემლი ენთო.
ჩაიფიქრა: თუ შემიშვებს ვინმე,
ერთგულებით შევიშლები, ღმერთო!

თარგმნა მზია ხეთაგურმა

## ვია რამანე

● ●

ჩამოშლილია ქალაქზე წვიმა.
მინებებია ყოველი ნივთი,
მიწებებია ყოველი ფერი
ხსოვნის თბილ ხელებს
და ახალი სიცოცხლით ცხოვრობს.
მე გადავყურებ ჩემი სარკმლიდან,
გადავყურებ და აშკარად მოჩანს
პირმოღუშული სახეები რუხი სახლების
და მოჩანს წვიმაც...
ვერავინ მეტყვის როდის გადიღებს და გადიკარებს
წვიმა, ასე რომ ბადეებს მოწყენას,
წვიმა, ასე რომ ჩამწყვდევია საკუთარ თავში,
წვიმა, ასე რომ ჩაჭრენია ფიქრს გლუვ სხეულზე.
ბედნიერებმა მოასწრეს წასვლა
და ვისაც ძილი მოერია
მას ახლაც სძინავს
და სიზმრებში წვიმით სველდება.
ბედნიერია ალბათ მძინარე,
თქვენ როგორ გესმით, როცა ძილის წინ
ემშვიდობებით რეალობას თავის კანტურით,
როდის გადიღებს ნეტა წვიმა?

თარგმნა ირაკლი გაზაძემ

## პეტერის ზირნიტისი*

ლატვია

### მეგობარს

მოდი, ერთად გავატაროთ კაი საღამო,
მოვუსხდეთ ბაღში მრგვალ მაგიდას და მოვილხინოთ.
დიასახლისი მუხაზე გაფენს ცას და ვარსკვლავებს,
ხურტკმელს შევჭამთ და დავლევთ წითელ მოცხარის ღვინოს.

მერე დავთვრებით და ქვეყანას გადავაბრუნებთ,
ხიდან ვარსკვლავებს ჩამოვგლეჯთ და ჭიქებში ჩავყრით.
გაეცინება მთვარეს, ჩამოვა... გვესტუმრა თურმე.
ლარნაკებში ყვავილები იმღერებენ და გადმოვლენ მაღლით.

ღამეს სულ სმაში გავათენებთ, შლეგურ მღერაში,
ციცინათელა-ვარსკვლავები ახალ ღვინოში იციმციმებენ,
და ჭიქებში, როგორც ცის ჭაში გამოვჩნდებით
მერე მე და შენ.

მთვარეს წასკდება სიცილი და ორ ჭიქას გვესვრის, კენკრის
ორ მარცვალს,
ბულბულები შეუსტვენენ და შაშვები უგალობებენ მოლხენას
კაცთა.

მოდი, მოდი, ნაბახუსევი სინანულით არ აივსები!
ვინც ჩვენთანაა, წამში მიწვდება მარადისობას.

თარგმნა დალილა ბედიანიძემ

● ●

ამ სამყაროში მისთვის მოვედით
ჰოი კუნძულო სიხარულისა ჰოი დაბლობო სევდისაო
რომ სიყვარულს და შვებას ვპოვებდით
რომ ხნულის ბოლოს ჩავმარხოთ ტანჯვა
და ყველაფერი შევიმეცნოთ და შევისწავლოთ
რაიც ჯერ კიდევ უცნობი დარჩა
ამ სამყაროში მისთვის მოვედით
მოსასვენებლად სახურავი რომ ჰქონდეს ყარყატს
მზე დაუზინელდეთ შურით მგესლავებს
ვეღარ აღმართოს სისხლიანი ხელი კაენმა
აბელი რომ მოკლას მესამედ
სხვა არაფერი არ დაგვრჩენია
აქ უნდა დავრჩეთ მოვირჩინოთ წყეული წყლული
ქვიან მინდორზე საკუთარი გავავლოთ ხნული
არ კვდება მიწას სამუდამოდ რაც ამჩნევია
ჩვენი ქალაქი წლებისაგან გამჭვარტლულია
მაისის წვიმით ვბანთ და ვათეთრებთ
აქ უნდა დავრჩეთ ვალდებულნი ვართ
იხრწნება ნეშო ქრება ტყე და შრება მდინარე
აქ უნდა დავრჩეთ რომ ხვალ გათენდეს
ჰა ჩაქრა ფერფლში ცეცხლი როგორც ყინვაში ვარდი
არ იკარგება ქვეყანაზე სიმღერა მხოლოდ
რომელიც უკვე იმღერეს და ჩვენს გვერდით ცხოვრობს
სხვა ვინ დახვდება გარიჟრაჟის კარებთან მნათობს
ვინ მოიგონებს გაგრძელებას
კეთილი ზღაპრის
და ბალახებზე წამოწოლილი
ვინ მოინატრებს შორეული მდინარის ნაპირს
ჩვენს ნაცვლად სხვა ვინ მოკვდება და
ვინ გაცოცხლდება
ვინ იოცნებებს ამ ჩვენს ოცნებას
აქ უნდა დავრჩეთ სამუდამოდ აქ უნდა დავრჩეთ

თარგმნა ვახტანგ ხარჩილავამ

* ამ ლექსში ზირნიტისი სასვენ ნიშნებს არ ხმარობს.

## გენადი კრასნიკოვი

● ●

უკვე ოქტომბრის ჯანღმა დაბინდა
შემოდგომის ტყის ჭრელი ფერები.
გულს აღარ ავსებს ბედნიერებით
კარზე მომდგარი ავი ამინდი.

ვაცილებ ჩიტებს და მატარებლებს,
მიწყდა გაფრენილ ფრთების ფათქუნი..
ვიგრძენი, როგორ მიდის ზაფხული,
ვიგრძენ სუსხიან ზამთრის კედლები.

გულს შემოეგზნო, როგორც სახმილი,
სივრცე, დახშული ფანჯრების იქეთ...
ვარსკვლავებს, როგორც შუქნიშნებს ჩიტთა, —
ცის შორი გზები აქვთ გადახსნილი...

თარგმნა თედო ბექიშვილმა

## ნაბატკული რეჯეპოვი

თურქმენეთი

### მსგავსება

მინახავს ხოლმე განთიადში პირქუში ბინდი,
მომისმენია სიჩუმეში ჰანგი ხმიერი.
აღმოცენდება მიწიდან და კვლავ მიწად მიდის
ხორბლის ბედსა ჰგავს ბედი-იღბალი მეხორციელის.

ცეცხლში მინახავს ხეთაზრდა და ზეცისკენ ქროლვა,
ყოფნა-არყოფნა ერთი არის და საზიარო.
შენი სიცოცხლის ნახევარი დღე არის, ხოლო
ნახევარი კი ღამე ბნელი, ადამიანო.

ნალს აჭედებენ ცხენს ფლოქვებზე, რომ მარტუღელი
ახსოვდეს მარად.
შენც გახსოვდეს, აქ ცხოვრობ რაკი,
მსგავსება კაცთა ბედ-იღბლისა არის ურღვევი
ერთიანობა და მსგავსება კუბოს და აკვნის.

თარგმნა ვახტანგ ხარჩილავამ

### ცეცხლი

ალი — ხანჯალი გაიელვებს. უკუნი ღამე
ფხას უსინჯავს და მიმოფანტავს დაცვენილს ფერფლად.
ის სწვავს თავისთავს,
ღამის მკლავზე ლამაზ სულს დალევს,
მაგრამ ვერასდროს იარსებებს ღამესთან ერთად.

ისიც იხსენებს ძლიერების მშვენიერ წამებს.
გამხმარ მერქანზე გაიგრილებს მხურვალე ლოყას.
მიდის ზეცისკენ დარწეული ხესავით კვამლი,
თვითონ კი ნედლი ბალახების უხმო ცრემლს ლოკავს.

იწვის ცეცხლი და
კვლავ უღონო მკლავებსღა იწვდის
და სიკვდილის წინ მიუწვდომელ სივრცეზე დარდობს.
მაგრამ ამაოდ.
მხოლოდ კვამლი მიიწევს ცისკენ,
ის კი ძირს კვდება —
თავისივე სისხლში წევს მარტო.

თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ

## იური გრეჩკო

კრასნოდარი

### სამხედრო სწავლება

შუამავალი გაჰყვიროდა: — სერჟანტო, მოგკლეს,
დაწექით ჩქარა! — ეს ყვირილი ჰგავდა ხუმრობას.
ჩვენ გაკვეთილებს ვღებულობდით, ვსწავლობდით ბრძოლებს,
ხოლო „მკვლელებს“ კი ვუმტკიცებდით იმ დღესვე ძმობას.

მე ვეცემოდი ზურგზე; იქვე წვებოდნენ სხვებიც
გამოგონილი შიშითა და საჭირო ქვინით;
დაჭრილებივით ჩიტის ჭიკჭიკს ვახშობდით კვნესით
და სწავლის ბოლოს ჩაღდებოდა სამხედრო ლხინი.

გვესროდნენ, გვკლავდნენ — ვით მოკლულებს შეჰფერის, —
ჩვენაც
ვეღარ ვაღწევდით საზღვრამდე და მწითური მტვერი
ქარს მოყოლილი — თავზე გვადგა დაცემულ მხედართ,
ხოლო ჩვენს უკან პირობითი ხარობდა მტერი...

... მაგრამ, ვაითუ, ოდეს ცაზე დაიბინდება —
მწარე ღიმილით ვინმე მართლა დახუჭავს თვალებს.
ნაღდი სიკვდილით მშობელ მიწას შეეწირება
და უსახელო ჯარისკაცად მონათლავს მთვარე.

თარგმნა მზია ხეთაგურმა

## ოლგა ჩუგაი

● ●

სხვა არაფერი არ მინდა ქვეყნად —
შენ ჩემთა თვალთა სამო ტყვე ხარ.

ხელი ხალისით მიჰყვება ქაღალდს —
შენ შემომცინი ლექსიდან ლაღად.

და ასაფრენად აღერილ სტრიქონს
თან მისდევს გულის ლტოლვა და სითბო.

ის გააცოცხლებს წამებს გარდასულს,
წაჰყვება ტრფობა, როგორც ნადავლი.

სტრიქონს, რომელსაც დავყურებ ოდით,
როგორც მდინარეს ტირიფის ტოტი...

ნახე, არაფრის აღარ მაქვს შიში —
სამყარო ტყვედ მყავს თვალების ჭრილში.

თარგმნა თედო ბექიშვილმა

# ჩვენ და გარემო



ბუნებისათვის ზრუნვა მომავლისათვის ზრუნვაა, — ამგვარი იყო პათოსი სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიისა, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო გარემოს დაცვის პრობლემებს. ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვა თითოეული საბჭოთა მოქალაქის საპატიო მოვალეობაა. ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს ჩვენი საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი დღეს საქართველოს ბუნების დაცვის ერთ მტკივნეულ პრობლემაზე — ჭალის ტყეების პრობლემაზე გვესაუბრება.

# ჭალამ უეჭველად უნდა იმრავლოს

ნიკო კეცხოველი

როდესაც ბუნების დაცვაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ბუნება საჭიროებს დახმარებას, ჩვენი გარემო ფრიად ცუდ მდგომარეობაშია და სხვა ასეთი.

ეხლა უკვე დადგა დრო ყოველ საკითხზე ვილაპარაკოთ არა ზოგადი ფრაზებით, არამედ კონკრეტულად. ჩვეულებრივად უნდა გამოვყოთ გარკვეული ობიექტი და ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ვუშველოთ მას: თუ აღსადგენია, როგორ აღვადგინოთ, რა გზით, რა სახსრებით და სხვა.

დღეს მინდა შევჩერდე ჩვენი ჭალის ტყეების მდგომარეობაზე და მათ მნიშვნელობაზე. ჭალის ტყეები, საქართველოს მცენარეული საფარის ერთი მნიშვნელოვანი და განუყრელი ერთეულია. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — იყო, მაგრამ ჩვენი წინდაუხედაობით მოვსპეთ. ჩვენი მდინარის ხეობებში თითო-ოროლა კორომიღა დარჩა, ან ისიც არა.

ჭალის ტყეები ძალიან საინტერესო ტიპია, ჭალის ტყე შესდგება ორი მნიშვნელოვანი, ძირითადი ერთეულისაგან, ერთი მათგანი გავრცელებულია მდინარის სანაპიროზე, ხოლო მეორე ტერასზეა შეფენილი; ეს ორი ტიპი მცენარეულობის შემადგენლობით ერთმანეთისგან განსხვავდება. თუ პირველ ტერასაზე ძირითადია ვერხვი და მისი თანამყოლი ტირიფები, მეორე ტერასაზე ძირითადად მუხა და თელაა გავრცელებული. ისინი განსხვავდებიან ეკოლოგიურადაც: პირველ ტერასაზე მცენარეულობის ისეთი ტიპია, რომლის ფესვები ეხება გრუნტის წყალს და ზოგჯერ, განსაზღვრულ პერიოდში (გაზაფხულზე), მთელი ჭალა წყლით იფარება, ამავე დროს მიწის ზედა ნაწილი ველის პირობებშია (ჰავა); მეორე ტერასაზე გრუნტის წყალი შედარებით ღრმადაა და აქ უფრო მეზოფილური ტიპის მცენარეულობაა გავრცელებული: უმთავრესად ჭალის მუხა, თელა, ნეკერჩხალი, იფანი და სხვა; ასეთი ტყეები ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მტკვრის ხეობაში. კახეთში ემატებოდა ლაფანი, ზოგან ძელქვა, პასტუხოვის სურო.

ლაფანი, როგორც ირკვევა, ამ რვა-ცხრა ათასი წლის წინათ იყო ივრის ხეობაშიც. რაკი იორზე იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ მტკვრის ხეობაშიც ესეც ჩვეულებრივ უნდა ყოფილიყო, ახლა კი ყველაფერი მკვეთრად არის შეცვლილი სახეობათა მიხედვით. აღმოსავლეთ საქართველოში, მტკვრის ხეობაში, ლაფანი თითქმის განადგურებულია; ჭალის ტყე აღარ არის ლიახვის, ლეხურის, არაგვის, ივრის, ალგეთის, ქციისა და სხვა ხეობებში, შედარებით კარგად და ნორმალურად შემორჩენილია ალაზნის ხეობაში.

ჭალის ტყე, როგორც საერთოდ ყველა ტიპის ტყე, ჩვენი ბუნების ერთ-ერთი კომპონენტია, ცნობილია, რომ ერთი მთლიანის რომელიმე კომპონენტის განადგურება იწვევს მთელ რიგ ბუნებრივ ცვლილებას. ჭალის ტყის განადგურებამ აღმოსავლეთ საქართველოში პირველ რიგში ის ცვლილება გამოიწვია, რომ გაიზარდა რიყე; იგლიჯება მიწა და ეს მიწა არაგვს, ქციას, იორს, ალაზანს და სხვათ, შემდეგ კი მტკვარს მიაქვს კასპიის ზღვისაკენ, თანდათან იკარგება საქართველოს მიწა-წყალი; მეორე: ჭალის ტყეები ბევრნაირად განსაკუთრებით გარდიგარდმო კვეთავდნენ სასოფლო-სამეურნეო ზონას, ცნობილია, რომ ჩვენში მოქმედებდა და მოქმედებს ხორშაკიანი ქვენა ქარი, რომელიც წარმოიშობა შუა აზიაში, და თუ ივნისსა და ივლისში დაუბერა, ძალიან ხშირად დათავთავებულ ყანას ერთ დღეში გამოაშრობს და გახმობს, გამოაშრობს მიწასაც, იღუპება მთელი მოსავალი; როდესაც ჭალის ტყეები ეღობებოდა ამ ქარს, მისი მოქმედება სრულიად შენელებული იყო.

დღეს ეს შესანიშნავი ბუნებრივი კომპონენტი ჩვენი ბუნებისა სრულიად მოისპო; ამას წინათ დავიარე ლიახვის, არაგვის, ლეხურისა და სხვა მდინარეების ხეობები, აგრეთვე ძველი სარწყავი არხების ნაპირნი, რომელნიც ერთ დროს დაფარული იყო მუხიანებით, და რომელთაც „დუბიანებს" უწოდებდნენ (ესაა ძველი ქართული სახელწოდება: „დუბე" — დაბალი ადგილი); ეს დუბიანებიც სწორედ ჭალის ტყის ტიპი იყო, სახელწოდებაშიც კარგად და ლამაზად არის გამოსახული ამ ტყის ეკოლოგიური რაობა, ჭალის მუხა მთის ფერდის „ქართული მუხა" კი არაა, ესაა სწორედ „ჭალის მუხა". ეს დუბიანებიც სრულიად მოსპობილია, გეგონება, კალიას გადაუვლია და მთლიანად მოულოკიაო.

რად ვამახვილებ ამაზე ყურადღებას? ჯერ ერთი: დღეს ჭალის ტყეები ჩვენთვის კვლავ საჭიროა, როგორც ბუნებრივი პირობების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საქართველოს კლიმატისთვის თუ არა მიკროკლიმატისთვის მაინც, იგი იცავდა მიწას, ნიადაგს.

მეორე: ეს ტყეები ძველთაგანვე ყოველთვის სოფლის მეურნეობის ყურადღების ცენტრში იყო, ჭალის ტყეები გვარებს ეკუთვნოდა და ჭალის ტყეების მეურნეობაში მეოცე საუკუნეში და მეცხრამეტეს დასასრულს გვაროვნული გადმონაშთები კიდევ ჩანდა, მახსოვს, მაგალითად ტეტუნაანთ ჭალა (ტეტუნაშვილები — ტირძნისი), ჩიქლაანთ ჭალა, ძამელაანთ ჭალა (ჩიქლაძე, ძამელაშვილი — ტყვიავი). ეს ტყე ერთ ოჯახს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მთელ გვარს, და მთელი გვარი იყო პატრონი და პასუხისმგებელი მის მოვლაზე. ეკონომიკას რომ თვალი გადავავლოთ, მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ამ ტყეებში იყო შვიდ-რვა ტიპი სატყეო მეურნეობის წარმოებისა.

იყო „სასარე", — აქ ირგვებოდა ისეთი ხეები, სარის გამოსათლელად რომ ვარგოდა, სასარეებში ირგვებოდა ვერხვი, ტირიფი, თელა, მუხა, იფანი; ტირიფი ორ წელიწადში ერთხელ იძლეოდა სარს, ვერხვი — სამ წელიწადში, თელა — ოთხ-ხუთ წელიწადში, მუხა — შვიდ წელიწადში. დარგული ხე რომ წამოიზრდებოდა, იგი გადაიკაფებოდა ორი-სამი მეტრის სიმაღლეზე, გადანაკაფთან ამოიყრიდა რამდენიმე ტოტს, რომლებიც იძლეოდნენ სარს; ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ასეთი ტირიფი ან ვერხვი იძლეოდა თხუთმეტიდან ოცდაათ სარამდე, ასევე ზრდიდნენ თელას, მუხას, იფანს...

სასარეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მეურნეობაში: ვენახში, ბაღში, ბოსტანში და სხვა.

რაკი ჭალისა და სასარე ტყე მოისპო, შემოვიღეთ რკინა-ბეტონის სარები, ეს ძალიან კარგია; ხშირად მიფიქრია: ვინმეს თუ ეკუთვნის სახელმწიფო პრემია, ამის გამომგონებელსაც ეკუთვნის-მეთქი, რადგან იცავს და ზოგავს ჩვენი მთის ტყეს, მაგრამ ამ რკინა-ბეტონის სარს უარყოფითი მხარეც აქვს, — სამი ოთხი წლის განმავლობაში იშლება, მისი ბეტონი ნიადაგში შედის და ნიადაგის ხარისხს აუარესებს. უნდა აღვადგინოთ ჭალის ტყეები, რომელიც ჩვენი ბუნების მთლიანობისთვის აუცილებელია და მეურნეობისათვისაც მოგვცემს აუცილებელ მასალას. ბეტონის სარების გარდა ხის მასალა ხომ მაინც საჭიროა.

ჭალის ტყეში იყო „საკაფი", „სამასალე", ასეთი ნაკვეთები გამოიყოფოდა მუხნარში და თელნარში, სადაც უვლიდნენ მუხას, თელას, იფანს და მათგან გამოჰყავდათ დედაბოძები, თავხეები, ურმის ხელნა, გუთნის ყელი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მუხის თავხის გამოყვანაზე პაპის მამა იწყებდა მუშაობას და შემდეგ ორი-სამი თაობა უვლიდა, ესე იგი 60-80 წელიწადი უვლიდნენ ასეთ ხეს, რათა იგი სწორად გაზრდილიყო და მისგან მიეღოთ ნამდვილი თავხე ან ნამდვილი დედაბოძი; ურმის ხელნის გამოყვანას სჭიროდა 15-20 წელი, ამისათვის ძირითადად გამოყენებული იყო იფანი, თელა; უღელის გამოყვანას, რომელიც ძირითადად ნეკერჩხლისა ან იფნისაგან კეთდებოდა, 5-6-10 წელი სჭირდებოდა.

იყო, აგრეთვე, „საჯალჯე". ჯალჯი ეკლიანი ბუჩქის კონაა, ღობის გასაკეთებლად იხმარებოდა...

მინდორში ბაღი ვაშენე, ღობე
გავავლე ჯალჯისა,
დავთესე კიტრი ოქროსი, ლობიო
მარგალიტისა,
მოვიდა ქალი ლამაზი, გასწია
ღობე ეკლისა,
მოწყვიტა კიტრი ოქროსი,
ლობიო მარგალიტისა.

ძველ სოფელში ჯალჯს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვენახები და ბაღები ერთთავად ჯალჯით იყო შემოღობილი. საჯალჯეში ზრდიდნენ ეკლიან მცენარეებს — ქაცვს, ჩიტავაშლას, კუნელს; დღეს ჯალჯი ღობედ აღარ გვჭირია, მაგრამ ამ ჯგუფის ერთი მცენარე — ქაცვი იძლევა ძვირფას, ვიტამინებით მდიდარ ნაყოფს, რომლისგანაც სხვადასხვანაირ წამალს ამზადებენ; ქაცვის ბაღებს ვერ გავაშენებთ, მაგრამ ჭალაში იგი ჭალის ელემენტის მოვალეობასაც შეასრულებს და ძვირფას ნაყოფსაც მოგვცემს.

ცალკე გახლდათ „საშეშე": სადაც შეშას ჭრიდნენ, „სანახშირე" — აქ ზრდიდნენ ისეთ ჯიშებს, რომელნიც კარგ ნახშირს იძლეოდა (კუნელი, იფანი, ნეკერჩხალი); „სამანეულე" — ზრდიდნენ მანეულს, კალათების, გოდრების, ლასტების დასაწნავად. აქვე იყო „ნიგვზნარი", „თუთნარი" (უფრო ხშირად).

ძველი სიგელ-გუჯრების და მატიანეთა გადათვალიერებით დასტურდება, რომ ჭალის ტყეში ტყის მეურნეობის 10-მდე წესი არსებობდა.

წარსულში ფრიად აფასებდნენ ჭალის ტყეს. ქვემოთ მოტანილი დოკუმენტი ამის დასტურია:

„...ასე რომ მოგყიდეთ წიდორეთს ჩვენ ორი ძმათა კერძო სასახლე, მარანი, საბზელი, კალო, საბოსტნე, სასაფლაო, ხუდადური ვენახი აქეთ ნასყიდას სამძღვრამდის, იქით უამიარას-შვილის სამძღვრამდის, — ზაქარია მგელიასეული ორის დღის მიწა მისის სასარითა, საკირეს მიწა მისის სასარითა. სოფლის თავს ერთის დღის მისის სასარითა, მისავ ახლოვე სამი დღის ახო მისის სასარითა, გარეშემოთა მთითა და სათიბითა; ლისურში კოდაზე მიქელაშვილისეული ორის დღის მიწა..."; (აქაც და შემდეგაც ხაზგასმა ჩემია. — ნ. კ.); „...მტკიცე წიგნი, სიგელი მოგეცით და მოგახსენეთ ჩვენ ჯავახიშვილთა შალვას ძეთა ზანზე, ბიძინა, ფარსადან, შერმაზანდა ძეთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, საკაძეთა შიოშის შვილთა გიორგის ძესა ავთანდილს, ძეთა და შვილთა და მამათალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, მოგყიდეთ ჩვენა მკვიდრი მამული სასახლე არჩევენაული მამული მისით სახნავითა, ნაფუძრითა, მთითა, ბარითა, ჭალითა, სასარითა, საჯალჯითა, საკაფითა, წყლითა, წისქვილითა, მისითა შესავლითა და გასავლითა ყოვლითურთ უნაკლულოდ..."

„ესე ჩვენი სამკვიდრო ყმანი თავისის მამულით მოგყიდეთ ყოფლის კაცის უცილებლად წყლითა, წისქვილითა, სახნავითა, უხნავითა, ნასყიდითა და უსყიდითა, საძებრითა, უძებრითა, მთითა, ბარითა, ჭალითა, საკაფითა და უკაფითა, სათიბითა და უთიბითა..."

არის დოკუმენტები X-XI საუკუნისა, სადაც სასარებიცაა მოყვანილი.

სასარე ტიპის მეურნეობა ევროპაში მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს გაჩნდა, ეს ტყის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, ჩვენს დოკუმენტებსა და სიგელ-გუჯრებში უკვე XI საუკუნეში ჩანს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი X საუკუნეზე ადრე გაჩნდა. ჭალის ტყე მნიშვნელოვანი ელემენტია ჩვენი ბუნებისა და ხალხის ეკონომიკაში, მას დიდი ადგილი ეჭირა და დღესაც დაიჭერს. იგი ძველ საზღვრებში თუ არა, ასატან საზღვრებში მაინც უნდა აღვადგინოთ, ეს საჭიროა ბუნებრივი წონასწორობისათვის, ასეთი დარღვევა წონასწორობისა დაუშვებელია, თუ გნებავთ, ბარბაროსობაა. ამას დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ჩვენს ტყეთა შორის ყველაზე ახლოს, მეურნეობისათვის ხელმისაწვდომი, ჭალის ტყეა, და სწორედ ჭალის ტყეში კვლავ უნდა შევქმნათ სასარე, „საკაფი", „უკაფი", „ნიგვზნარი" და სხვ.

ნიგვზნარი რომ აქ უნდა შეიქმნას, დასტურდება იმავ სიგელ-გუჯრებით, ჭალაში ნიგვზნარი იყო გაშენებული, გარდა ამისა ალაზანზე, ჯუმაის ყურის მიდამოებში, დღესაც არის ველური კაკლნარი, ამის შესახებ შრომებიცაა გამოქვეყნებული. ეს ჭალის ტყე და მას მიმდგარი ადგილები ბუნებრივი არეა კაკლისათვის.

კაკალი კარგია, მაგრამ ყველაფერს კარგს თავისი ადგილი აქვს, უნდა გავაშენოთ იქ, სადაც იხარებს, ნიგვზნარების გაშენება უდიდესი და საშვილიშვილო საქმეა.

დაბელილი ხეები (ვერხვი, ტირიფი) 50-60 წლამდე სძლებს, მუხა — საბელავი სძლებს რამდენიმე ასეულ წელიწადს, მაგალითად, ამ სამოცი წლის წინათ რომ დაბელილი მუხები მინახავს, დღესაც კარგადაა, თუნდაც საგურამოს მუხები, მართალია, ბევრგან მოსპეს, მაგრამ რაც დარჩა, დღესაც საკმარისად ჭარმაგადაა. იფანი დაახლოებით ასი წელი სძლებს. დღესაც ძალიან გვჭირია სამანეულე, მანეული — წითელი ტირიფი, რომელიც წვრილ ტოტს იძლევა და აუცილებელია ვენახის შესაკრელად, კალათ-გოდრების დასაწნავად და თუ მივიქცევით ყურადღება, დღეს ვენახს რომ ფოთოლი გასცვივა ხოლმე, თეთრი ჭინჭები ჰკიდია; ეს არის ის ჩითი და ქარსია, რომელსაც კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ყიდულობს, ნაჭერ-ნაჭერ სჭრის და იმით ახვევენ ვენახებს, მაშინ, როდესაც ჭალაში ან ვენახის ირგვლივ შეიძლება კვლავ გაშენდეს სამანეულე, — იგი ქარსაფარშიც ერთ-ერთ ელემენტად შევა.

ერთი დიდი მადლი ჭალისა ისიც იყო, რომ იქ ბინადრობდა მტრედი, გვრიტი, ძიგვინი (ძიგვინიც მტრედის ერთ-ერთი სახეობაა), ქედანი; აგრეთვე, ჭილყვავი, ყვავი, ქორი, მიმინო, შევარდენი, ეს ფრინველები სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი და საჭირო იყო; როდესაც ყანას აიღებდნენ, ნამკალი ნაცრისფრად იფარებოდა მტრედით, რომელიც ანადგურებდა სარეველა მცენარეების თესლსა და აუარებელ ჭია-ღუას; ჭილყვავი და ყვავი გუთანს ყოველთვის უკან მისდევდნენ და აუარებელ ხოჭოს ანადგურებდნენ; შევარდენი, ქორი, ალალი, მიმინო, არწივი და სხვანი მღრღნელებს ებრძვიან, ჭალაში ბუდობდა ხოხობი, გნოლი და სხვა სანადირო ფრინველიც. ერთი სიტყვით, ჭალის ტყის საკითხთან დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის მრავალი საკითხი, და ამდენად არის ეს საინტერესო თავისი მნიშვნელობითაც და შედეგითაც.

გამოდის, რომ ჭალის ტყის დაცვა და აღდგენა მარტო ბუნების დაცვა კი არ არის, არამედ აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, ჩვენი ეკონომიკის განმტკიცებისათვის, ჩვენი ბუნებრივი პირობებისათვის.

ამ ბოლო დროს ტყის მეურნეობის სამინისტრო ენერგიულად შეუდგა მთის ტყეების აღდგენას. ეს ძალიან კარგია, მაგრამ მისი ხელი და ზრუნვა ჯერჯერობით აკლია ჭალის ტყეს. ალბათ იმიტომ, რომ ჭალის ტყე მის სისტემაში არ შედის. ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, სულ თუ არა, ჯერჯერობით რამდენიმე ხეობის ჭალა სამინისტროს უნდა გადაეცეს და დაიწყოს ჭალის ტყის აღდგენა დამუშავებული მცენარეების სიის მიხედვით, რომელშიც ძირითადი იქნება ადგილობრივი ჯიშები.

დაყოვნება დიდ საქმეს უკან დაჰხევს.



# ლადო გეგეჭკორი



ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მხცოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლადო გიორგის ძე გეგეჭკორი.

ლადო გეგეჭკორი დაიბადა 1888 წლის 26 მაისს სოფელ მარტვილში (ახლანდელი გეგეჭკორი) სასულიერო პირის ოჯახში. სწავლობდა სენაკის, შემდეგ კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1904 წლიდან 1909 წლამდე ლადო გეგეჭკორი თბილისის სასულიერო სემინარიის მსმენელია. 1909 წელს იგი ჩაირიცხა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის სტუდენტად, მაგრამ მალე მძიმე ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა თავი დაენებებინა სწავლისათვის.

მრავალმხრივი ცხოვრების გზა განვლო ლადო გეგეჭკორმა. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა და შვიდ ათეულ წელზე მეტი ერთგულად ემსახურა ქართულ მწერლობას. მისი ლექსები, ჩანახატები, მოთხრობები, თარგმანები სისტემატურად იბეჭდებოდა რევოლუციამდელ ჟურნალ-გაზეთებში: „ნიშადური", „სხივი", „მიწა", „ფასკუნჯი", „ჯეჯილი" და სხვა. ლადო გეგეჭკორი საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების შვიდი კრებულის ავტორია. ქართველი ბავშვები ყოველთვის ცხოველი ინტერესით კითხულობდნენ მის წიგნებს „რა დროა"?, „ავაშენოთ", „გამოიცანი", „[illegible]ია თომა თვითმფრინავში" და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლადო გეგეჭკორის მიერ შედგენილი „ქართული სიმღერის ოსტატების" ოთხი კრებული. ამ კრებულებში ბევრი ძვირფასი ცნობა და დოკუმენტია თავმოყრილი. თვითონ ლადო გეგეჭკორი სხვადასხვა დროს ქართული პროფესიული და სახალხო თეატრების, სახელმწიფო ანსამბლებისა და თვითშემოქმედებითი კოლექტივების მსახიობი, რეჟისორი და სალიტერატურო ნაწილის გამგე იყო. ჯერ კიდევ ათი წლის მოსწავლე მღეროდა ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელში ცნობილი ლოტბარის ვალ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, ხოლო 1908-1904 წლებში — კ. ფოცხვერაშვილთან ქუთაისში, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს პეტერბურგში მელიტონ ბალანჩივაძესთან.

ლადო გეგეჭკორი 1937 წელს მოსკოვში მოწყობილი ქართული ხელოვნების პირველი დეკადის მონაწილე იყო და კ. პაჭკორიასთან ერთად საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში მართავდა კონცერტებს.

მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ისეთ გამოჩენილ ადამიანებთან, როგორიც იყვნენ კოტე ფოცხვერაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, შალვა დადიანი, ვალერიან შალიკაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა და სხვები.

სულ ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" დაბეჭდა ლადო გეგეჭკორის მოგონებების წიგნი „წლები და შეხვედრები", რომელშიც მოგვითხრობს თავის შეხვედრებზე ივანე გომართელთან და გალაკტიონ ტაბიძესთან, იონა მეუნარგიასთან და ვალერიან გუნიასთან, იროდიონ ევდოშვილთან და ნიკო ნიკოლაძესთან.

ქართველ მწერლებს მუდამ ემახსოვრებათ ლადო გეგეჭკორი, შესანიშნავი ადამიანი და მოღვაწე, ქართული კულტურის უანგარო მსახური.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

## საბავშვო ლიტერატურის სექციაში

ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციამ მოაწყო მერი ბოლქვაძის ახალი საბავშვო კრებულისა და ავთანდილ მეგრელიშვილის საბავშვო ლექსების პირველი წიგნის განხილვა. მოხსენებები წაიკითხეს ნინო ბეზარაშვილმა და მზია ჩხეტიანმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: როსტომ ელანიძემ, ქეთევან ჭილაშვილმა, სოლომონ დემურხანაშვილმა, ვაჟა ყუბუსიძემ, რევაზ ინანიშვილმა, სოლომონ სამხარაულმა, ალუდა არაბულმა.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ მერი ბოლქვაძის მოთხრობები გამოირჩევა თემისადმი ორიგინალური მიდგომით, ხატოვანი ენით, უშუალობით.

ავთანდილ მეგრელიშვილის ლაკონიზმი, სათქმელის სისხარტე ბავშვისათვის ადვილად გასაგებსა და დასამახსოვრებელს ხდის მის ლექსებს.

მოკამათეებმა გამოთქვეს აგრეთვე შენიშვნები.

## „დილის" კონკურსის შედეგები

შეჯამდა ჟურნალ „დილის" კონკურსის შედეგები.

მეორე პრემია (200 მან.) მიენიჭა ვლ. ასლამაზიშვილს — მოთხრობისათვის „აჩიკუდა ჯარში მიდის".

მესამე პრემია (150 მან.) მიენიჭა — ვ. გოგოლაშვილს — მოთხრობისათვის „მხატვარი და უფლისწული".

დასაბეჭდად შეირჩა და მიენიჭათ პრემიები (თითოეულს 100 მანეთის ოდენობით) ნ. ბეზარაშვილს — მოთხრობისათვის „ფერისცვალა", შ. ასანიშვილს მოთხრობისათვის „სამეზობლო ღობე", ა. გეწ[illegible]ს მოთხრობისათვის — „ცისფერი ცრემლის ამბავი", ნ. კეკელიძეს მოთხრობისათვის — „მფრინავი დარაჯები", მ. შილდელს პატარა მოთხრობისათვის. ქ. ჭილაშვილს მოთხრობისათვის — „ჩიტები გამებუტნენ".

ჟურნალ „დილის" რედკოლეგია

## გზის დასაწყისი



1 ივლისს ალექსი ასლანიშვილის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, გაიხსნა მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომლის მოთავე იყო თბილისის პოლიგრაფისტთა კულტურის სახლი.

პოლიგრაფისტთა კულტურის სახლის კლუბში თავი მოიყარეს დამთვალიერებლებმა, რომელთა შორის იყვნენ მწერლები, მხატვრები, გამომცემლობათა მუშაკები, პოლიგრაფისტები, მოვიდნენ საგარეჯოს რაიონის წარმომადგენლები, ფერეიდნიდან ჩამოსული ქართველები.

გამოფენაზე უხვად არის წარმოდგენილი ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები, რომელთაც აშკარად ეტყობათ შემოქმედის ნიჭი.

მათ სოფელს ჩუღურეთი ერქვა და ახლაც ასე ჰქვია, მაგრამ ის ჩუღურეთი ჩვენგან ძალიან შორს არის, შუაგულ ირანში, ფერეიდანში. 1973 წელს, სხვა ოჯახებთან ერთად, თავის სამშობლოს დაუბრუნდა ალექსანდრე ასლანიშვილის ოჯახი. ცოლ-ქმარმა ასლანიშვილებმა დედასამშობლოს ექვსი შვილი ჩამოუყვანეს და სამკვიდროდ დაასახლეს საგარეჯოს რაიონში. მერე ასლანიშვილების ოჯახი კიდევ ერთი სულით გაიზარდა და დღეს ყველა ერთად შრომობს, სწავლობს და ხარობს მამა-პაპისეულ მიწაზე.

ახალი ცხოვრება დაიწყო როგორც ასლანიშვილების ოჯახისათვის, ისე სხვა დანარჩენი ფერეიდნელი ქართველებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, მთავრობამ, რაიონის ხელმძღვანელობამ, არაფერი დაიშურეს იმისათვის, რომ მათთვის ცხოვრების ყოველმხრივ კარგი პირობები შეექმნათ.

ერთ-ერთმა ვაჟმა ალექსიმ წარმატებით დაამთავრა საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლა და სიმწიფის ატესტატით აპირებს გაუყვეს იმ გზას, რომლისკენაც თავისი ნიჭი უბიძგებს, ეს გზა კი მხატვრობაა — ფერწერა.

ალექსი ასლანიშვილის სურათების გამოფენა გახსნა საქართველოს პოლიგრაფისტთა კულტურის სახლის დირექტორმა ნუნუ მესხმა.

ახალგაზრდა მხატვარი შეკრებილთ წარუდგინა საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლის დირექტორმა მარატ პიტორიშვილმა.

ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრების შესახებ ისაუბრეს და არჩეული გზის კეთილად და წარმატებით გავლა უსურვეს თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა გიორგი თოთიბაძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნელი გურგენიძემ, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა, მწერლებმა არჩილ სულაკაურმა, სულხან ქეთელაურმა, თბილისის მე-11 სტამბის დირექტორმა ეკა ნეშუმაშვილმა, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ ჯანბერიძემ, კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირის მდივანმა სემიდა მუხაძემ.

ალექსი ასლანიშვილმა მადლობა გადაუხადა შეკრებილთ.

გივი სადმინაშვილი

სურათზე: ალექსი ასლანიშვილი — „ავტოპორტრეტი".

## მუსიკა

# შემოქმედებითი სიმწიფის ჟამი

ვაჟა აზარაშვილის საავტორო კონცერტზე

1962 წელს მოსკოვში გაიმართა ახალგაზრდა საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი დათვალიერება, რომელზეც სრულიად უცნობმა ქართველმა ახალგაზრდებმა რამდენიმე ჯილდო და პრიზი მოიპოვეს. მაშინ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოვაქვეყნე წერილი „ახალი შემოქმედებითი ხმები", რომელიც ქართული მუსიკის „ახალგაზრდული ტალღის" წარმომადგენლებს ეხებოდა. მაშინდელი წერილის ერთ-ერთი „გმირი" გახლდათ 25 წლის ვაჟა აზარაშვილი — დღეს უკვე საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რომლის ამასწინანდელმა საავტორო კონცერტმაც ერთხელ კიდევ მიიპყრო მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება.

როცა ამ კონცერტზე წერილის დაწერა გადავწყვიტე, ძველი ინერციით ცნობიერებაში ამოტივტივდა სტერეოტიპული ფრაზები —„ახალგაზრდა", „მზარდი", „პერსპექტიული"... მაგრამ უმალვე უარვყავი. 1962-ის გაზაფხულიდან ხომ მთელი 18 წელი გასულა, წლები, რომლებმაც ნიჭიერი და ძალზე შრომისმოყვარე ახალგაზრდა შემოქმედი წამყვან კომპოზიტორებში ჩააყენა.

დღეს ვაჟა აზარაშვილი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებების ავტორია მუსიკალური შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრში. მისი მხატვრული ინტერესების დიაპაზონი ძალზე ფართოა, მუსიკის სტილისტური სპექტრი—მრავალფეროვანი, საესტრადო სიმღერიდან—რაფინირებულ ინტელექტუალურ ინსტრუმენტალიზმამდე.

აზარაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მელოდიური აზროვნებისა და ემოციური გამომსახველობის შეთავსება წერის თანამედროვე ტექნიკასთან, მუსიკალური ენის სიმახვილესთან. მხატვრულ ძიებათა ინტენსიურობა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაფასებელი და მიმზიდველი თვისებაა და შემდგომი წინსვლის საწინდარიც.

აზარაშვილის შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს მაინც მისი ინსტრუმენტული კონცერტები შეადგენენ: 2 სავიოლინო, ფლეიტის, ჩელოს, ალტისა და საყვირის კონცერტები. მათში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა კომპოზიტორის შემოქმედების ზემოხსენებული თვისებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შესრულა კომპოზიტორის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, მის საკავშირო აღიარებაში, 1969 წელს შექმნილმა კონცერტმა ჩელოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ამ კონცერტმა ელდარ ისაკაძის შესანიშნავი შესრულებით საბჭოთა კავშირის მრავალი საკონცერტო ესტრადა შემოიარა. ქართული მუსიკის აქტივს მიეკუთვნება აგრეთვე კონცერტი ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, რომელშიც ნათლად აისახა ის სტილისტური ევოლუცია, კომპოზიტორმა რომ განიცადა. ეს ნაწარმოებები თვალნათლივ მოწმობენ შემოქმედის აზროვნების თანამედროვე დონეს, მის მაღალ პროფესიულ კულტურას.

აღარ შევეხები სხვა ჟანრის ნაწარმოებებს — რომანსებს, რომელთა შესახებ ბევრი კარგის თქმა შეიძლებოდა და ოთხ ოპერეტას, რომლებმაც ამ ჟანრში ავტორს საგრძნობი წარმატება მოუტანეს.

ვაჟა აზარაშვილის ამასწინანდელ საავტორო კონცერტზე წარმოდგენილი იყო უკანასკნელ 3-4 წლის მანძილზე დაწერილი ნაწარმოებები (ზოგიერთი ახლახან დამთავრებული), რომელთა შორის რამდენიმე პირველად სრულდებოდა. პროგრამა მთლიანად კამერულია, მაგრამ ჟანრობრივად ძალზე მრავალფეროვანი. აქაა ერთი საკრავისათვის დაწერილი ნაწარმოებიც, სიმებიანთა ანსამბლები, სასულე საკრავთა კვინტეტი, ვოკალური ციკლები.

პროგრამის ერთ-ერთი საკვანძო ნომერი იყო ოთხნაწილიანი კვინტეტი სასულე საკრავებისათვის, (შემსრულებლები ნ. კიკნაძე, გ. ბერიძე, რ. გალუსტოვი, ს. აპოსტოლი, მ. მაწკეპლაძე). საზოგადოდ, ამ შემადგენლობის ანსამბლები არაა მაინცდამაინც გავრცელებული, მით უმეტეს, ქართულ მუსიკაში. მაგრამ აზარაშვილის კვინტეტის მნიშვნელობას, პირველ რიგში, განსაზღვრავს არა მისი ჟანრობრივი „დეფიციტურობა", არამედ მუსიკის უტყუარი მხატვრული და პროფესიული ღირსებები.

მკვირცხლი, ლაღი, ხშირად სკერცოზული ხასიათის მუსიკის ინტონაციურ და სტილისტურ საფუძველს გურული ხალხური სიმღერა წარმოადგენს, თუმცა კომპოზიტორი არ მიმართავს ფოლკლორული მასალის ციტირებას. და ბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო შემსრულებელთა ვირტუოზული ოსტატობა.

პირველად შესრულდა აგრეთვე სონატა 2 ალტისათვის (შემსრულებლები — ა. ხარაძე და გ. ჩადუნელი). ეს კიდევ უფრო იშვიათი ტემბრული შეხამებაა ინსტრუმენტულ მუსიკაში. მისი ინტელექტუალური ხასიათის, შინაგანად დაძაბული და თვითჩაღრმავებული მუსიკა სრულ კონტრასტს შეადგენს კვინტეტის მზიურ მუსიკასთან. განსხვავებულია მისი სტილისტური იერი, მუსიკალური ენა, რომელიც უფრო განზოგადებული ხასიათისაა და პ. ჰინდემიტის ინსტრუმენტალიზმის გავლენის კვალს ატარებს. განსხვავებულია შთაბეჭდილებაც, რომელიც მან დატოვა ერთი მოსმენით (იგი რამდენადმე მონოტონური მოგვეჩვენა), თუმცა ეს შესაძლოა აიხსნას ამ მუსიკის სპეციფიკური ხასიათით, რომელიც ისევე უშუალოდ როდი აღიქმება, როგორც კვინტეტის მუსიკა. ისიც საფიქრებელია, რომ ნაწარმოების მხატვრული და ტექნიკური სიძნელეები ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დაძლეული და ამდენად საბოლოო მსჯავრის გამოტანა იქნებ ნაადრევიც იყოს.

სამაგიეროდ, ეჭვმიუტანელია კიდევ ერთი სიმებიანი ანსამბლის მხატვრული ღირსებები, ეს გახლავთ სონატა 2 ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (შემსრულებლები რ. გონაშვილი, ლ. მელიქიანი და მ. ფანიაშვილი). მანამდე ეს ნაწარმოები ამავე ჩინებული შესრულებით, წარმატებით აჟღერდა შარშან, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ყრილობაზე, ახლა კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ნაწარმოების ხალას ექსპრესიულობაში, კონსტრუქციის სიმტკიცეში, მხატვრულ სახოვანებაში.

ვ. აზარაშვილი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს სასულე ინსტრუმენტებისათვის. ამის დამადასტურებელია კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელიც კონცერტზე შესრულდა. ესაა სონატა კლარნეტისა და ფორტეპიანოსათვის (3 ნაწილად), რომელიც მდიდარ საშუალებას იძლევა ამ საკრავის როგორც კანტილენური, ისე ვირტუოზული შესაძლებლობების გამოსავლენად და, უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ცნობილმა კლარნეტისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რ. ჯიბლაძემ სრულად გამოიყენა ეს შესაძლებლობები (ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა ნ. კვირკველია).

ყველაზე ერთსულოვანი მოწონება წილად ხვდა საფორტეპიანო სონატინას. მისმა სინორჩითა და სიხალისით აღსავსე მუსიკამ შეუძლებელია გულგრილი დატოვოს მსმენელი, არადა, რა ძნელია ამისთანა მუსიკის დაწერა!

სპეციალურად უნდა გამოვყო სონატინას შემსრულებელი — ნიჭიერი და ძალზე ოპერატიული პიანისტი მედეა ფანიაშვილი, რომელმაც მისთვის ჩვეული არტისტიზმით დაუკრა ეს მშვენიერი ნაწარმოები.

ვოკალური ჟანრი კონცერტზე წარმოდგენილი იყო 2 ციკლით. პირველი (შ. ნიშნიანიძის სიტყვებზე, ბანისათვის) ადრეც მოგვისმენია, მეორე კი — (ი. გრიშაშვილის სიტყვებზე, ტენორისათვის) პირველად შესრულდა. ცხადია, რომ ციკლებს ბევრი რამ აქვთ საერთო, პირველ რიგში— მუსიკალური ენა, ფაქტურა, მაგრამ განსხვავებაც დიდია. ნიშნიანიძისეულ ციკლს არა აქვს გამაერთიანებელი სათაური, მაგრამ მისი მხატვრული სახეები უფრო განზოგადებული, ფილოსოფიური პლანისაა, გრიშაშვილისეული კი, როგორც უკვე მისი სათაური („თეატრალური ხილვები") მიგვანიშნებს, უფრო კონკრეტული, სურათოვანი ჩანახატების წყებას წარმოგვიდგენს.

პირველმა ციკლმა უკვე მიიღო მუსიკალური საზოგადოებრიობის დადებითი შეფასება და, ვფიქრობთ, მეორე ციკლიც ამგვარად შეფასდება. სასიამოვნოა, რომ ორივე ციკლს ჩინებული შემსრულებლები მოევლინენ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თ. ლაფერაშვილის, ი. კავსაძისა და კვლავ და კვლავ — მ. ფანიაშვილის სახით.

ვ. აზარაშვილის საავტორო კონცერტმა დაადასტურა კომპოზიტორის ნამდვილი შემოქმედებითი სიმწიფე, ოსტატობის მაღალი დონე... სრული საფუძველი გვაქვს მისგან ახალ მიღწევებს მოველოდეთ.

გულბათ ტორაძე

გამოდის პარასკეობით
(ფასი 10 კაპ.)

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 03781